



შვედეთი  
Sverige

UN WOMEN  
United Nations Entity for Gender Equality  
and the Empowerment of Women

UN JOINT PROGRAMME  
FOR GENDER EQUALITY

პოლიტიკაში ჩართულ

ქადთა გიგანტ ქაღალდება

საქართველოში

2022



© 2022 UN Women. All rights reserved

**ანგარიშის ავტორი:** CRRC-საქართველო

**რედაქტორი:** თეონა გოგოლაშვილი

**დიზაინერი:** თეკლა გიაშვილი

წინამდებარე ანგარიში მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში პარტნიორის CRRC-საქართველოს მიერ. მასალა მომზადდა შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი წარმოადგენს CRRC-საქართველოს პასუხისმგებლობას და შესაძლოა, არ ასახავდეს შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხედვას.



**UN JOINT PROGRAMME  
FOR GENDER EQUALITY**

პოლიტიკაში ჩართულ

ენდოს მიმართ ქადაგდება

საქართველოში

2022

# საჩრევი

<b>ეთანახუაზი.....</b>	<b>5</b>
<b>კაროლინა და აგავისტარები.....</b>	<b>6</b>
<b>შეჯავა.....</b>	<b>7</b>
<b>რეპორტერები.....</b>	<b>11</b>
<b>შესავარი.....</b>	<b>13</b>
საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილების მიმოხილვა.....	14
პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა საქართველოში.....	15
კვლევის მიზნები და ამოცანები.....	16
<b>გეორგი.....</b>	<b>17</b>
<b>კვევის მიზნები.....</b>	<b>18</b>
პოლიტიკაში ჩართული ქალების მხარდამჭერი ფაქტორები და ბარიერები.....	19
პოლიტიკური კამპანიები და აქტივიზმი.....	24
პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა.....	27
ფსიქოლოგიური ძალადობა.....	28
სექსუალური შევიწროება.....	29
ეკონომიკური ძალადობა.....	30
სექსუალური და ფიზიკური ძალადობა.....	30
ქალების წარმოჩენა არასრულფასოვან პიროვნებებად (გენდერული სტერეოტიპები).....	32
დისკრიმინაცია სამუშაო ადგილზე.....	33
ვინ უფრო ხშირად ხდება პოლიტიკაში გენდერული ძალადობის ობიექტი?.....	34
რა ფაქტორები განაპირობებს იმას, ხდება თუ არა ქალი პოლიტიკოსი შევიწროების მსხვერპლი?.....	34
ძალადობის განმახორციელებელი პირები.....	35
ძალადობის ზეგავლენა ქალ პოლიტიკოსებზე.....	37
ძალადობის შესახებ შეტყობინება და დახმარების გზების ძიება.....	40
პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო ზომები და რეაგირების მექანიზმები.....	44
პრევენციის მექანიზმები: როგორ შეიძლება ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის თავიდან აცილება?.....	47
<b>დასკვნები.....</b>	<b>51</b>
<b>დანართები.....</b>	<b>55</b>
დანართი 1: მეთოდოლოგიის აღწერა.....	56
დანართი 2: კვლევის მონაწილეთა მახასიათებლები.....	57
<b>შეინვესტივი.....</b>	<b>58</b>
<b>გიგინოვანი.....</b>	<b>61</b>

# ეიაგრამები

დიაგრამა 1:	ოჯახისგან მხარდაჭერის მიმღებ ქალთა პროცენტული გადანაწილება დახმარების ტიპის მიხედვით (%). . . . .	19
დიაგრამა 2:	იმ ქალთა პროცენტული წილი, რომლებიც გარკვეულ მხარდაჭერას იღებენ (%). . . . .	20
დიაგრამა 3:	წინააღმდეგობები, რომლებსაც საქართველოში პოლიტიკაში ჩართული ქალები აწყდებიან (%). . . . .	21
დიაგრამა 4:	ქალი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები (%). . . . .	24
დიაგრამა 5:	2020 წლის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები (%). . . . .	26
დიაგრამა 6:	დამოკიდებულება დაშვების მიმართ, რომ ძალადობა პოლიტიკის ნაწილია (%). . . . .	27
დიაგრამა 7:	ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები (%). . . . .	28
დიაგრამა 8:	სექსუალური შევიწროების შემთხვევები (%). . . . .	29
დიაგრამა 9:	ეკონომიკური ძალადობის შემთხვევები (%). . . . .	30
დიაგრამა 10:	ფიზიკური ძალადობის შემთხვევები (%). . . . .	31
დიაგრამა 11:	ქალ პოლიტიკოსებთან დაკავშირებული სტერეოტიპები (%). . . . .	32
დიაგრამა 12:	სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის გამოცდილება (%). . . . .	33
დიაგრამა 13:	ძალადობის განმახორციელებელი პირები (%). . . . .	36
დიაგრამა 14:	ძალადობის, შევიწროებისა, და მუქარის ყველაზე სერიოზული შემთხვევების გავლენა პოლიტიკურ საქმიანობაზე (%). . . . .	37
დიაგრამა 15:	ძალადობის, შევიწროებისა და მუქარის ყველაზე სერიოზული შემთხვევების გავლენა მეწარმეთა მდგომარეობაზე (%). . . . .	38
დიაგრამა 16:	პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიღებული ზომები (%). . . . .	39
დიაგრამა 17:	დახმარების ძიების გზები (%). . . . .	40
დიაგრამა 18:	ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინება (%). . . . .	41
დიაგრამა 19:	მიზეზები, რომელთა გამოც ქალები ძალადობის, შევიწროებისა, თუ მუქარის შემთხვევაში ოფიციალურ ორგანოს არ მიმართავენ (%). . . . .	42
დიაგრამა 20:	ქალების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებისა, და არსებული სერვისების მიმართ დამოკიდებულებები (%). . . . .	44

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

CRRC	საქართველო-კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი - საქართველო
NDI	ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი
IRI	საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი
ლგბტ	ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი

# გენერაცია

საქართველოში პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით CRRC- საქართველომ განახორციელა. კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში პოლიტიკაში ჩართული ქალების გამოცდილებების შესწავლას. კერძოდ, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ქალებისთვის პოლიტიკაში ჩართულობის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, ძალადობის და დახმარების ძიების გამოცდილებები, და ძალადობის გავლენა ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და ლიდერობაზე.

პოლიტიკაში ჩართული ქალების გამოცდილებების უკეთ შესასწავლად და ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის კუთხით არსებული ვითარების შესაფასებლად, გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები. თავდაპირველად, 2020 წლის ოქტომბერში ჩატარდა ათი ინტერვიუ ექსპერტებთან (ძირითად ინფორმანტებთან): ქალთა უფლებების დამცველებთან, აქტივისტებთან, დამოუკიდებელ მკვლევრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ინტერვიუების მიზანი საქართველოში ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის ტიპების და კონტექსტის უკეთ გაგება იყო, შემდგომში ქალ პოლიტიკოსებთან რაოდენობრივი გამოკითხვის და სიღრმისეული ინტერვიუების უკეთ დასაგეგმად. 2021 წლის მაისსა და ივნისში, ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების შედეგ, ჩატარდა პოლიტიკაში ჩართულ ქალთა ონლაინ გამოკითხვა, რომელშიც თვითმმართველობებში და პარლამენტში არჩეულმა ქალებმა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატმა ქალებმა მიიღეს მონაწილეობა. გამოკითხვაში მონაწილეობა სულ პოლიტიკაში ჩართულმა 151-მა ქალმა მიიღო. აქედან, 104 ქალი საკრებულოს ან 2017-2021 წლების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო; 9 საქართველოს პარლამენტის წევრი იყო 2016 წლიდან 2020 წლამდე; 50 კი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს.<sup>1</sup>

ონლაინ გამოკითხვის შემდეგ, მიღებული შედეგების უკეთ ინტერპრეტირებისთვის, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა გამოკითხვის 12 მონაწილესთან და 3 დანიშნულ სახელმწიფო თანამდებობის პირთან, რომლის დროსაც რესპონდენტებმა ძალადობის საკუთარი გამოცდილების შესახებ ისაუბრეს. საერთო ჯამში, 2021 წლის ივლისისა და აგვისტოს პერიოდში 15 სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა.

კვლევა მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

- პოლიტიკაში ჩართული ქალების მხარდაჭერი და ხელისშემშლელი ფაქტორები;
- პოლიტიკური კამპანიები და აქტივიზმი;
- პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა;
- ძალადობის განმახორციელებელი პირები;
- ძალადობის ზეგავლენა ქალ პოლიტიკოსებზე;
- ძალადობის შესახებ შეტყობინება და დახმარების გზების ძიება;
- პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმები;

კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

**პოლიტიკაში ჩართული ქალების მხარდაჭერი ფაქტორები და ბარიერები**

- გამოკითხული ქალებისთვის პოლიტიკაში ჩართულობის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი ოჯახის მხარდაჭერაა. გამოკითხულთა 88% გრძნობდა ოჯახის წევრების ფსიქოლოგიურ და/ან ემოციურ მხარდაჭერას პოლიტიკაში ჩართვამდე;

- ▶ გამოკითხული რესპონდენტების 89%-მა აღნიშნა, რომ მათ პოლიტიკურ კარიერას მხარს უჭერდნენ მეზობლები და ადგილობრივი თემის წევრები. 87%-ს მხარს უჭერდნენ საკუთარი პოლიტიკური პარტიის წევრები, ხოლო 78%-მა და 59%-მა მხარდაჭერა საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიიღო;
- ▶ მეორე მხრივ, ოჯახის მხარდაჭერის არ ქონა მნიშვნელოვან ხელისშემშეღებულ ფაქტორად დასახელდა ბევრი ქალისთვის, რომელთაც შესაძლოა, პოლიტიკაში ჩართულობა სურდეთ;
- ▶ ქალ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მთავარ ბარიერად პოლიტიკური კამპანიებისთვის არსებულ შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს ასახელებს (41%), მეოთხედზე მეტი (27%) - მაღალ თანამდებობებზე დაწინაურების შეზღუდულ შესაძლებლობას, ხოლო ყოველი მეოთხე - საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას პოლიტიკაში ქალების ჩართულობასთან დაკავშირებით;
- ▶ ქალი კანდიდატებისთვის ყველაზე დიდი ბარიერი შეზღუდული ფინანსური რესურსებია მაშინ, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლი ქალებისთვის ფინანსურ რესურსებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი ბარიერი მაღალ თანამდებობაზე დაწინაურების ნაკლები შანსია;
- ▶ მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნებისას, პარტიის საქმის უმეტესობას ქალი აქტივისტები ასრულებენ (კარდაკარ სიარული, ორგანიზება, საოფისე საქმე, შეხვედრების ორგანიზება), ისინი იშვიათად წინაურდებიან ან ხვდებიან რომელიმე პარტიის საარჩევნო სიის სათავეში;
- ▶ ისეთი ოჯახური პასუხისმგებლობები, როგორიც სახლის საქმეებზე, ბავშვებზე, მშობლებსა და პარტნიორებზე ზრუნვაზე, ნაკლებ დროს უტოვებს ქალებს პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობისთვის. ეს პრობლემა პოლიტიკაში ჩართული ქალებისთვის კიდევ უფრო გამწვავდა პანდემიის პირობებში.

### პოლიტიკური კამპანიები და აქტივიზმი

- ▶ წინასაარჩევნო პერიოდი და საარჩევნო კამპანია განსაკუთრებით დატვირთული პერიოდია ქალი პოლიტიკოსებისთვის. გამოკითხული დეპუტატობის კანდიდატები-დან, რომლებიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდნენ, ყველამ განაცხადა, რომ ხვდებოდნენ პარტიის წევრებს, აქტივისტებსა და კოორდინატორებს. დაახლოებით 90% მონაწილეობდა კარდაკარ სიარულში და საქართველოს მასშტაბით მოგზაურობდა ამომრჩეველთან შესახვედრად. გამოკითხულთა 88% კამპანიის მასალებს ავრცელებდა და აცემოოპ-ზე აქტიურობდა, 88% მედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობდა, ხოლო 82% სიტყვით გამოვიდა საჯარო შეხვედრებზე;
- ▶ გამოკითხული ქალი პოლიტიკოსების უმრავლესობა საკუთარ საჯარო განცხადებებში ხშირად ან ზოგჯერ საუბრობს გენდერულ თანასწორობაზე (95%), ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებებზე (82%) და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებებზე (67%), ასევე, აკრიტიკებს კონსერვატიულ და ტრადიციულ შეხედულებებს (66%);
- ▶ თვისებრივი კვლევა აჩვენებს, რომ ქალ პოლიტიკოსთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის რისკები იზრდება, როდესაც ქალი პოლიტიკოსები აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას აწარმოებენ ან საჯარო გამოსვლებში ქალებისა და უმცირესობების უფლებებს იცავენ, ან კიდევ ტრადიციულ და კონსერვატიულ შეხედულებებს ეწინააღმდეგებიან.

### პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა

- ▶ როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა ნახევარზე მეტს (54%) ამა თუ იმ ტიპის შევიწროება ან ძალადობა განუცდია პოზიციაზე ყოფნის პერიოდში ან კამპანიის განმავლობაში;

- ▶ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიდან ნახევარზე ნაკლებმა (48%) აღნიშნა, რომ შევიწროებასა და ძალდობის ამათუ იმ ფორმას განიცდიდნენ თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში. ეს წილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატ ქალებში ორ მესამედამდე იზრდება, ხოლო ძალადობის ან შევიწროების რომელიმე ფორმა გამოუცდია თითქმის ყველა გამოკითხულ დეპუტატს (ორის გარდა);
- ▶ პოლიტიკაში მყოფ ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა ფსიქოლოგიური ძალადობა (37%), რასაც მოსაცევს ძალადობა სოციალურ ქსელებში (32%), ეკონომიკური ძალადობა (25%) და სექსუალური შევიწროება (22%). გამოკითხულთა მხოლოდ 5%-ს გამოუცდია ფიზიკური ძალადობა წინასაარჩევნო ან თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში;
- ▶ ქალ პოლიტიკოსთა 56%-ს პირადად გამოუცდია დისკრიმინაცია პოლიტიკური კარიერის განმავლობაში. 41%-ს პარტიაში მმართველ პოზიციაზე ყოფნის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, კაცებთან შედარებით. 37%-ს მიაჩნია, რომ სხვადასხვა კომიტეტში ჩართვის ნაკლები შანსი მიეცა, ხოლო 23%-სსაკმარისი დრო არ მიეცა დებატების განმავლობაში საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად;
- ▶ რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის მიხედვით, დაუქორწინებელი ან განქორწინებული ქალები, რომლებიც პოლიტიკაში მონაწილეობენ, სხვა ქალებზე ხშირად ხდებიან ძალადობის სამიზნე;
- ▶ გამოკითხულთა თითქმის ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ მუქარა, დაშინება, შევიწროება და სიძულვილის ენა განსაკუთრებით მიმართულია ქალი პოლიტიკოსებისადმი. თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ქალების ნაწილი მათზე მიმართულ ძალადობას არა საკუთარ სქესს, არამედ პოლიტიკურ შეხედულებებსა და პარტიას უკავშირებს.

## ძალადობის ზეგავლენა პოლიტიკაში ჩართულ ქალებზე

- ▶ ძალადობის გამოცდილების შედეგად, პოლიტიკაში ჩართული ქალები თავის დასაცავად ხშირად იღებენ გარკვეულ ზომებს (41%). მათგან, ვინც ძალადობა გამოსცადა, ყოველმა მეხუთემ (19%) ყოველდღიური რუტინა შეცვალა, 16%-მა აღნიშნა, რომ საკუთარი განრიგის შესახებ არ ამჟღავნებდა ინფორმაციას ინტერნეტში, 11%-მა კიინფორმაცია მოითხოვა უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 9% თავს არიდებდა ონლაინ მედიას და ასევე, 9% - პოლიტიკურ შეხვედრებზე და დემონსტრაციებზე სიარულს, 5% ერიდებოდასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, ხოლო 3% - სახლიდან მარტო გასვლას;
- ▶ რაოდენობრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ძალადობის გამოცდილება უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკაში ჩართული ქალების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ქალ პოლიტიკოსთა 37% გაუარესებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე საუბრობს. თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი პოლიტიკური აქტიურობა ამ გამოცდილების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა (32%) ან არ შეცვლილა (41%), და რომ შევიწროებისა და შეურაცხყოფის გამოცდილებამ უფრო მეტი მხარდამჭერი შესძინა (36%) მათ ან მხარდამჭერების რაოდენობაზე არ უმოქმედია საერთოდ (27%);
- ▶ თვისებრივი კვლევა კი აჩვენებს, რომ ქალი პოლიტიკოსები განსხვავებულად რეაგირებენ მათ წინააღმდეგ მიმართულ შევიწროებასა და დისკრიმინაციაზე. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ სასონარკვეთილები იყვნენ და ცუდად გრძნობდენ თავს, ხოლო სხვების თქმით, მათი მებრძოლი ბუნებიდან გამომდინარე, შეურაცხყოფის ყოველი ახალი შემთხვევა უფრო აძლიერებთ მათ, უფრო მეტად ანდომებთ ბრძოლას გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ და თავიანთი, როგორც ქალების, უფლებებისთვის;

▶ როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, როდესაც ქალები ძალადობის შესახებ ხმას იმაღლებენ, ეს სხვა ქალ პოლიტიკოსებსაც აძლიერებს. გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა უმრავლესობა (60%) ეთანხმება ან სრულად ეთანხმება დებულებას, რომ კანდიდატების მიერ საჯაროდ საუბარი მათ მიერ განცდილ შევიწროებასა და დაშინებაზე, ეხმარება პოლიტიკაში ჩართულ სხვა ქალებს ამ თემებზე საუბრის დაწყებაში. გამოკითხულ ქალთა სამი მეოთხედი (75%) კი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ასეთი ქალები სუსტად მიიჩნევიან.

### **ძალადობის შესახებ შეტყობინება და დახმარების გზების ძიება**

▶ ძალადობის შემთხვევაში პოლიტიკაში ჩართული ქალები ამ გამოცდილების შესახებ ყველაზე ხშირად ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან საუბრობენ (81%). 65%-მა მომხდარი პარტიის ლიდერებთან ან კოლეგებთან განიხილა, 40% სხვა ადამიანებს ესაუბრა, ხოლო არასამთავრობო ან ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს მხოლოდ 21%-მა მიმართა;

▶ იმ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (52%), რომლებსაც მუქარა, შევიწროება ან ძალადობა გამოუცდია, მომხდარის შესახებ ოფიციალური ორგანოებისთვის არ უცნობებია. მათგან, ვინც შეტყობინება გააკეთა, 16% პოლიციას ან პროკურატურას დაუკავშირდა, 12%-მა მომხდარი ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან განიხილა, 7%-მა - ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ან სხვა საარჩევნო ორგანოსთან, 5%-მა - სახალხო დამცველთან, 4%-მა - საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, ხოლო 2% სხვა ფორმალურ ორგანოებს დაუკავშირდა;

▶ ისინი, ვისაც მომხდარის შემდეგ ოფიციალური შეტყობინება არ გაუკეთებია, უმოქმედობას, ძირითადად, იმით ხსნიან, რომ, მათი აზრით, მათი შემთხვევა პოლიტიკურ პასუხს საჭიროებდა და არა სამართლებრივ ნაბიჯებს (43%), ან აღნიშნავენ, რომ თავად შეძლეს პრობლემის მოგვარება (36%), ხოლო 21%-მა მომხდარი უმნიშვნელოდ და არასაკარისად სერიოზულად მიიჩნია;

▶ თვისებრივი კველვა აჩვენებს, რომ შეტყობინების დამაბრკოლებელი ფაქტორი შესაბამისი ორგანიზების მიმართ უნდობლობა, პარტიის რეპუტაციის შელახვის შიში და იმის შიშია, რომ მათ ნათევამს სერიოზულად არავინ მიიღებს.

### **პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე რეაგირების მექანიზმები**

▶ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა შეფასებები ძალადობაზე რეაგირების არსებული კანონმდებლობის, მექანიზმებისა და სერვისების შესახებ საკმაოდ პოლარიზებულია. რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება მოსაზრებებს, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკაში ჩართული ქალების ნინააღმდეგ ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილების (47%) და სათანადო ორგანოებისათვის შეტყობინების ეფექტური მექანიზმები;

▶ თვისებრივი კვლევის რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მუშაობის კუთხით. ისინი დიდ პრობლემას კანონის აღსრულების მექანიზმებსა და სერვისებში უფრო ხედავენ, ვიდრე თავად კანონმდებლობაში;

▶ პოლიტიკაში ჩართული ქალები მიიჩნევენ, რომ პოლიტიკური ნების არსებობა აუცილებელი წინაპირობაა პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიებისთვის.

# ჩეკრძალების

- ▶ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ფენომენია, რომელიც მისი გავრცელებულობის და სიმწვავის მიუხედავად, იშვიათად ხდება საჯარო განხილვის საგანი. კვლევა აჩვენებს, რომ პრობლემის აღიარება და სათანადო განხილვა მნიშვნელოვნად აძლიერებს იმ ქალებს, რომლებიც ამ პრობლემაზე საუბარს ვერ ბედავენ. ამიტომ რეკომენდებულია, რომ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხს სათანადო ყურადღება მიაქციონ, როგორც ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა, ასევე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და მედიამ.<sup>2</sup> და რეგულარულად განიხილონ იგი, როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების და პოლიტიკური პარტიების დონეზე, ასევე საჯარო დებატებში, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც ძალადობის რისკები კიდევ უფრო მაღალია.
- ▶ იქიდან გამომდინარე, რომ ძალადობას ადგილი აქვს როგორც სხვადასხვა, ასევე ერთი და იგივე პარტიების წარმომადგენლებს შორის, პოლიტიკაში ჩართულ ქალთა ძალადობისგან დასაცავად რეკომენდებულია პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნან პარტიათაშორისი და შიდაპარტიული მექანიზმები (მათ შორის, ქცევის წესები, სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმი) და საჯაროდ დაგმონ ძალადობის მედიისა თუ სოციალური ქსელების მეშვეობით, ასევე სხვადასხვა ფორმით განხორციელებული ძალადობის ფაქტები.<sup>3</sup>
- ▶ კვლევა აჩვენებს, რომ შესაბამისი უწყებების მიმართ უნდობლობა და ეფექტიანი გამოძიების პრეცედენტის ნაკლებობა აბრკოლებს პოლიტიკაში ჩართული ქალების მიერ ძალადობის შესახებ შეტყობინებას. ამიტომ, ეფექტიანი გამოძიების პრეცედენტები მნიშვნელოვნად გაზრდის ნდობას არსებული სისტემის მიმართ და მიმართვიანობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს;
- ▶ ნდობისა და მიმართვიანობის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია, ასევე, მედიისა და მართლმასჯულების სისტემის წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლება პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის შესახებ და მათი შესაძლებლობების გაძლიერება, რათა, ერთი მხრივ, მოხდეს მსგავსი საკითხების ეთიკურად გაშუქება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ხოლო, მეორე მხრივ, ეფექტიანად გამოიძიოს მსგავსი საქმეები, განხორციელდეს დევნა და მართლმასჯულება;<sup>4</sup>
- ▶ პოლიტიკაში ჩართული ქალები და სფეროს ექსპერტები კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მოქმედი სახელმწიფო ინსტიტუტების (განსაკუთრებით, გენდერული თანასწორობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის, პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და თვითმმართველობებში არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოების ასევე, სახალხო დამცველის აპარატის) გაძლიერებას პოლიტიკაში ჩართული ქალების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ამ ინსტიტუტების სხვა უწყებებთან კოორდინირებული მუშაობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პრობლემის მოგვარებას. ამ მიზნის მისაღწევად ასევე აუცილებელია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ მონაცემების ეროვნულ დონეზე შეგროვება, დამუშავება და შესაბამისი პრევენციის სტრატეგიების დასახვა.<sup>5</sup>
- ▶ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესებაში, კვლევის მონაწილეები არასამთავრობო ორგანიზაციების დიდ როლს ხედავენ. რეკომენდებულია სამოქალაქო საზოგადოებამ გააგრძელოს


ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერა და გაძლიერება, ხმამაღლა ისაუბროს ამ პრობლემაზე და აამაღლოს არა მხოლოდ ქალების, არამედ კაცების ცნობიერებაც ამ კუთხით, რადგან პოლიტიკაში ჩართული ქალების მხრიდან დუმილის დარღვევა და პრობლემაზე ხმამაღლა საუბარი უმნიშვნელოვანესია პოლიტიკაში და საჯარო ცხოვრებაში თანასწორობის ხელშესაწყობად და გენდერული ძალადობის აღმოსაფხვრელად.<sup>6</sup>

- ▶ როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიტიკაში ჩართული ქალები მათ მიერ განცდილ ძალადობაზე იშვიათად აკეთებენ შეტყობინებას. რეკომენდებულია არსებული კანონმდებლობის განახლება და განვირცობა, რათა ჯეროვნად მოიცვას პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა, შედარებით ახალი ფორმების ჩათვლით, როგორიცაა, მაგალითად, სოციალურ ქსელებში ძალადობა, და უზრუნველყოფილი იყოს აღსრულების ეფექტური მექანიზმი;
- ▶ იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მტკიცებულებების ნაკლებობა ხელს უშლის ამ საკითხის მნიშვნელობის ნარმოჩენასა და პრევენციული ზომების გატარებას, რეკომენდებულია, არსებობდეს უფრო მეტი

კვლევა და მონაცემები, რათა განისაზღვროს ძალადობის სიხშირე, ტიპები, მსხვერპლები და მოძალადები, კონტექსტი და ძალადობის რისკების გაზრდის ფაქტორები; რეკომენდებულია, რომ სამომავლოდ კვლევები ფოკუსირდეს როგორც ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების გამოცდილებაზე, ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ჩართული ქალების გამოცდილების შესწავლაზე. მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვების პარალელურად შეგროვდეს ადმინისტრაციული მონაცემები, მოხდეს არჩევნების მონიტორინგი და თვისებრივი და შერეული მეთოდების გამოყენება ძალადობის ახალი ფორმების იდენტიფიცირებისთვის;

- ▶ მოცემულმა კვლევამ შეისწავლა საკრებულოს, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრი ქალების გამოცდილება, თუმცა, შერჩევის ჩარჩოს არარსებობის გამო ვერ შეძლო საპრლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების იმ რაოდენობის გამოკითხვა, რაც სანდო შედეგებს უზრუნველყოფდა. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყონ არჩევნებში მონაწილე კანდიდატების საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა კვლევის მიზნებისთვის.

გესევანი



მსოფლიო მასშტაბით, დღეს უფრო მეტი ქალია ჩართული პოლიტიკაში, ვიდრე ოდესმე, როგორც სამთავრობო<sup>7</sup>, ისე არჩეულ თანამდებობებზე ეროვნულ საკანონმდებლო ორგანოებში.<sup>8</sup> მიუხედავად ამისა, პოლიტიკაში ჩართული ქალების შევიწროება და მათ მიმართ ძალადობა სისტემატურად იზრდება, რაც ხელს უშლის მათ პოლიტიკურ აქტივობას.<sup>9</sup> ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა მხოლოდ ფიზიკური თუ ვერბალური მუქარითა და შეურაცხყოფით არ შემოიფარგლება. ეს მრავალმხრივი ფენომენი ვლინდება როგორც საჯარო სივრცეში, ისე ოჯახში და ძალადობა შეიძლება განახორციელონ როგორც საჯარო, ისე არასაჯარო პირებმა.<sup>10</sup> ქალების პოლიტიკაში ჩართვის მცდელობებს მოჰყვება მათი შევიწროება, დისკრიმინაცია, ფიზიკური თუ სექსუალური შეურაცხყოფა და აგრეთვე ფსიქოლოგიური ძალადობა, რამაც დიდწილად ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა.<sup>11</sup>

ისედაც რთულ ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ქალ პოლიტიკოსთა მიმართ ძალადობა, დიდწილად, დაფარული ფენომენია. საზოგადოება ხშირად ვერ აღიქვამს ძალადობის მსხვერპლს, ვინაიდან ხშირად ძალადობა ფიზიკური არ არის, და შესაბამისად, ძალადობის ფაქტებიც იშვიათად მიიჩნევა ძალადობად. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაჩნდა ქალთა მიმართ ძალადობის ახალი ინსტრუმენტები, მათ შორის სოციალური მედია და ტექსტური შეტყობინებები. ეს ძალადობა გენდერულია და თავისი განზრაცხებით, ზეგავლენით, სიხშირითა და ფორმით განსხვავდება კაცი პოლიტიკოსების მიმართ ონლაინ სივრცეში ძალადობისა და შევიწროებისგან.<sup>12</sup>

ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა, სტრუქტურული უთანასწორობებისა და ღრმად გამჯდარი ცრურნებების შედეგია, რაც ეფუძნება სისტემატურ პატრიარქალურ ჩაგვრას და საზოგადოებაში ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან მათი მუდმივი განდევნით.<sup>13</sup> შედეგად, ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა მიიჩნევა ყველაზე ურყევ დაბრკოლებად ქალების პოლიტიკური უფლებების განხორციელების გზაზე.<sup>14</sup>

ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ბოლო წლებში ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა პოლიტიკაში ქალების გაზრდილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად და ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად. ამის მიუხედავად, ქალები კვლავ ნაკლებ იყავებენ პოლიტიკურ თანამდებობებს და დიდწილად განიცდიან შევიწროებასა და მუქარას პოლიტიკური მოღვაწეობისას. საერთაშორისო გამოცდილების მსგავსად, ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობა საქართველოშიც ნაკლებ გაცხადებულია და ხშირ შემთხვევაში, თითქმის არაფერია ცნობილი ძალადობის მსხვერპლ ქალ პოლიტიკოსებზე. არსებული სიტუაციის მიმოხილვითა და ქალი პოლიტიკოსების ძალადობის გამოცდილების შესახებ ემპირიული მონაცემების შეგროვების გზით, წინამდებარე კვლევა სწორედ ამ დანაკლისის ამოვსებას ცდილობს.

### **საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გამოცდილების მიმოხილვა**

ქალისა და მამაკაცის თანასწორობა გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.<sup>15</sup> დოკუმენტი ცალსახად კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას სქესისა თუ გენდერული იდენტობის ნიშნით. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია ავალდებულებს სახელმწიფოს აღმოფხვრას გენდერული უთანასწორობები, მათ შორის, განსაკუთრებული ზომების მიღებით.

თუკი კონსტიტუცია განსაზღვრავს თანასწორობის ძირითად პრინციპებს, სხვა საკანონმდებლო აქტები და პოლიტიკის დოკუმენტები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა გაზრდილი მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმებს განსაზღვრავს. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ<sup>16</sup> და სხვა დოკუმენტები განსაზღვრავს კაცებისა და ქალებისთვის პოლიტიკაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობების პრინციპს. კანონი გმობს საქართველოს მოქალაქეების დისკრიმინაციის სქესის ნიშნით. იგივე შემართებით ეხმიანება ქალთა მიმართ საჯარო სფეროში, მათ შორის პოლიტიკაში დისკრიმინაციას, კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ<sup>17</sup> და კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალა-

დობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.<sup>18</sup>

თანასწორობა და პოლიტიკური მონაწილეობის უნივერსალურობა ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიისა და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმების სახელმძღვანელო პრინციპია. დოკუმენტი წინ წარმოიქმნა მონაწილეობის შესაძლებლობების ზრდის, ქალთა მიმართ ძალადობის, გენდერული თანასწორობის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის და იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების საკითხებს.<sup>19</sup>

ინსტიტუციურად, საქართველოს მთავრობამ და საქართველოს პარლამენტმა შექმნეს უწყებები ქალთა უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო<sup>20</sup> 2010 წელს შეიქმნა და მისი ერთ-ერთი მოვალეობა პოლიტიკაში ქალთა გაზრდილი ჩართულობის უზრუნველყოფაა. მსგავსი უწყებები ფუნქციონირებს ქვეყნის ადგილობრივ ხელისუფლებებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ საბჭოების არსებობა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, ადგილობრივ გენდერულ საბჭოებს საკმარისი ცოდნა და ძალაუფლება არ აქვს.<sup>21</sup>

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 2020 წლის შესწორებები ქვეყნის საარჩევნო კოდექსში. ეს ცვლილებები ქმნის პრაქტიკულ ინსტრუმენტებს ქალების მეტი პოლიტიკური ჩართულობისთვის. ცვლილებების მიხედვით, პარტიებს ვალდებულება ეკისრებათ გენდერულად დააბალანსონ პროპორციული პარტიული სიები. საპარლამენტო სიის ყოველი მეოთხე და მუნიციპალური საარჩევნო სიის ყოველი მეორე კანდიდატი განსხვავებული სქესის უნდა იყოს.<sup>22</sup> მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაბიჯების შედეგად 2020 წლის საპარლამენტო და 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების პარტიულ სიებში საგრძნობლად გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა, თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ მხოლოდ იმდენი ქალი შეიყვანა პარტიულ სიებში, რამდენიც საკანონმდებლო ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად იქნებოდა საკმარისი.<sup>23</sup>

ფურცელზე გარანტირებული უფლებებისა და

შესაძლებლობების მიუხედავად, ქალები პოლიტიკაში საკმაოდ მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილები. საქართველო არასახარბიერ ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალების წარმომადგენლობის თვალსაზრისით.<sup>24</sup> მხოლოდ 21 ქალი დეპუტატი (წევრების საერთო რაოდენობის 15%) აირჩიეს 2020 წლის მოწვევის პარლამენტში; მხოლოდ 469 (24%) ქალი აირჩიეს მუნიციპალურ საკრებულოებში 1 986 პოტენციური თანამდებობიდან 2021 წლის ადგილობრივი არჩევნებში. ქალების წარმომადგენლობითობა 2017 წელთან შედარებით მხოლოდ 10 პროცენტით გაიზარდა და ესეც დიდწილად, სავალდებულო კვოტების ხარჯზე მოხდა.<sup>25</sup>

ორი შემთხვევის გარდა, მუნიციპალიტეტების ყველა არჩეული თავმჯდომარე კაცია, რეგიონული გუბერნატორებიდან კი არცერთი არ არის ქალი. 2022 წლის იანვრის მონაცემებით, 12 მინისტრიდან მხოლოდ სამია ქალი.<sup>26</sup> მაურიტარული სისტემით არჩეული ქალების წარმომადგენლობა კიდევ უფრო დაბალია. მაურიტარული სისტემით არჩეული 622 საკრებულოს წევრიდან მხოლოდ 9 პროცენტია (50) ქალი, 2020 წელს კი 150 პარლამენტის წევრიდან მხოლოდ 31 იყო ქალი.

### პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა საქართველოში

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, კაცებთან შედარებით, ქალები ნაკლებ არიან ჩართული პოლიტიკაში, ისინი გენდერული ნიშნით შევიწროებას არათანაბრად განიცდიან. მნიშვნელოვანია, რომ თავდასხმისა და დისკრიმინაციის სამიზნები ქალები არა მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან ხდებიან. ხშირად, ქალი პოლიტიკოსები საკუთარ პარტიებშიც კი არათანაბარ მოპყრობას განიცდიან.

სექსისტური ენის გამოყენება ის გამოწვევაა, რომელთან გამკლავებაც პოლიტიკაში ჩართულ ქალებს ყოველდღიურად უწევთ. ენა, რომელიც სექსისტურია და არ არის გენდერულად მგძნობიარე, ცნობილ ოპოზიციონერ ლიდერებსაც კი გამოუყენებიათ თბილისის თვითმმართველობის<sup>27</sup> თუ მინისტრთა კაბინეტის<sup>28</sup> წევრი ქალი

ოპონენტების წინააღმდეგ. რეგიონულ თუ ადგილობრივ პოლიტიკური ჩართულ პირებს ხშირად ადანაშაულებენ იმაში, რომ გენდერული სტერეოტიპებით ხელმძღვანელობენ ქალების აღწერისას, მათ შორის ოპონენტ ქალებზე საუბრისას.<sup>29</sup>

ვერბალური შეურაცხყოფა და სექსისტური დამოკიდებულებები ქალი პოლიტიკოსებისა თუ აქტივისტების მიმართ განსაკუთრებით პრობლემატურია საარჩევნო კამპანიების პერიოდში. ეს პრობლემა თვალსაჩინოა ონლაინ და სოციალურ მედიაში, სადაც ქალი პოლიტიკოსები ხშირად ხდებიან ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მუქარების, შანტაჟისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ადრესატები. მაგალითად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში, ცნობილი ქართველი ქალი პოლიტიკოსების შეურაცხყოფის არაერთი შემთხვევა დააფიქსირეს სოციალურ ქსელებში არასამთავრობო ორგანიზაციებმა. ძალადობის განმახორციელებელი პირები მიმართავდნენ სექსუალური შინაარსის ფოტო და ვიდეო მანიპულაციებს, რომლის საშუალებითაც ქალს დაქვემდებარებულ სექსუალურ ობიექტებად წარმოაჩენდნენ იმაზე ხაზის გასასმელად, რომ პოლიტიკაში ქალის ადგილი არ არის.<sup>30</sup>

ჩლლჩ საქართველოს მიერ ჩატარებული 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ქალი პოლიტიკოსების კვლევა აჩვენებს, რომ ქალების მიმართ ძალადობა ონლაინ სივრცეში მკვეთრად გენდერული ნიშნით გამოირჩეოდა. ქალი კანდიდატები ბევრად ხშირად ხდებოდნენ პირადი თუ სექსუალური ცხოვრების შესახებ კომენტარების ადრესატები, ვიდრე კაცი კანდიდატები. ასეთი თავდასხმების ძირითადი შინაარსი ოჯახში ქალის როლს, მათ გარეგნობასა და სექსუალობას უკავშირდებოდა. ქალი კანდიდატების საჯარო სტატუსს ხშირად უკავშირდნენ მათ პირად თუ სექსუალურ ურთიერთობას ცნობილ მამრ ფიგურებთან.<sup>31</sup>

ქალი პოლიტიკოსები და მათი ოჯახის წევრები მუქარებს ფიზიკურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებითაც იღებენ. ერთ-ერთი ასეთი ყველაზე გახმაურებული შემთხვევა იყო მუქარები პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის შვილების მიმართ.

საპრეზიდენტო კამპანიის პერიოდში, მისი შვილები ხშირად იღებდნენ სიკვდილის მუქარებს ონლაინ, რაც სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ აქტივობას უკავშირდებოდა.<sup>32</sup>

ოპონენტები ხშირად ქალი პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამსახველ მასალას მათი შანტაჟისა და გაჩქუმების იარაღად იყენებენ.<sup>33</sup> 2016 წლიდან მოყოლებული, ცნობილი ქალი პოლიტიკოსების ამსახველი არაერთი ვიდეოჩანანერი გავრცელდა ონლაინ სივრცეში.<sup>34</sup> ზოგიერთი ასეთი ჩანაწერის გავრცელებას თან ახლდა მსხვერპლის მიმართ დაუყოვნებლივ უკან დახევის და პოლიტიკიდან წასვლის მოთხოვნა.<sup>35</sup> ქალ პოლიტიკოსებს ხშირად ემუქრებიან ვიდეომასალის გასაჯაროებით. ასეთი შემთხვევები თავს იჩენს საარჩევნო კამპანიების დროსაც. მაგალითისთვის, 2020 წლის არჩევნების პერიოდში, არაერთი ქალი პოლიტიკოსი გახდა ასეთი მუქარის ადრესატი, როგორც ანონიმური პირების, ისე მთავრობის ნარმომადგენლების მხრიდან.<sup>36</sup>

## კვლევის მიზნები და ამოცანები

პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის კვლევას რამდენიმე ძირითადი მიზანი აქვს. უპირველეს ყოვლისა, კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის და მათ წინაშე არსებული დაბრკოლებების შესახებ მტკიცებულებების შეგროვებასა და ანალიზს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ძალადობის გამოცდილებას იმ ქალ პოლიტიკოსებს შორის, რომლებიც არჩეული იქნენ თანამდებობაზე, პარლამენტსა ან საკრებულოში, ან 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს. ანგარიში ასახავს პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის გამოცდილებას, ძალადობის მასშტაბებსა და ფორმებს. კვლევა ავლენს ძალადობის წინაშე ყველაზე მოწყვლად ჯგუფს, იკვლევს მათ მიერ დახმარების ძიების გზებს, და ძალადობის გამოცდილების გავლენას პოლიტიკურ მონაწილეობასა და ლიდერობაზე.

გარდა ამისა, კვლევა ხელს უწყობს გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ქალ პოლიტიკოსთა მიმართ ძალადობის გაზომვისა და მონიტორინგის გლობალური მო-

დელის შემუშავებას. ამასთან, კვლევა მიმოიხილავს ეროვნულ კანონმდებლობას ქალთა პოლიტიკური მონაწილეობისა თუ ძალადობისგან დაცვის მექანიზმების შესახებ. დაბოლოს, კვლევის მიზანია პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის მონიტორინგის, პრევენციისა და აღმოფხვრის მექანიზმების გაძლიერების კუთხით რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია. თავდაპირველად იხილავთ კვლევის მეთოდოლოგიის მოკლე შეჯამებას (დეტალური აღნერა მოცემულია პირველ დანართში). შემდეგ, წარმოდგენილია კვლევის შედეგები რამდენიმე ქვეთავად: პოლი-

ტიკაში ჩართული ქალების მხარდაჭერა და მათ წინაშე არსებული წინააღმდეგობები; პოლიტიკური კამპანიები და აქტივიზმი; პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა; მოძალადებები; ძალადობის ზეგავლენა ქალ პოლიტიკოსებზე; ძალადობის შესახებ შეტყობინება და დახმარების გზების ძიება; პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო ზომები და რეაგირების მექანიზმები; პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია. თითოეულ თავში წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი გამოკითხვის, ისე ქალ პოლიტიკოსებთან სიღრმისეული ინტერვიუების შედეგები (ზოგ შემთხვევაში ექსპერტების შეფასებებიც).

## მეთოდოლოგია


კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების შერეული მეთოდი, რომელიც აერთიანებს ქალი პოლიტიკოსების რაოდენობრივ გამოკითხვასა და ქალ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებულ სიღრმისეულ ინტერვიუებს. 2020 წლის ოქტომბერში ჩატარდა ათი ინტერვიუ ექსპერტებთან, ქალთა უფლებების დამცველებთან, დამოუკიდებელ მკვლევრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ამასთან, 2021 წლის მაისი-ივნისის პერიოდში ჩატარდა თვითად-მინისტრიებული ონლაინ გამოკითხვა, რომელშიც საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატი თუ თანამდებობის პირი 151 ქალი ჩაერთო. აქედან, 104 ქალი საკრებულოს წევრი იყო ან მართავდა ადგილობრივ ხელისუფლებას 2017-2021 წლებში; 9 საქართველოს პარლამენ-

ტის წევრი იყო 2016 წლიდან 2020 წლამდე; 50 კი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს. ზოგიერთი მონაწილე წარმოადგენდა როგორც საპარლამენტო კანდიდატს, ისე თანამდებობის პირს, შესაბამისად, რიცხვების ჯამი აღემატება 151-ს.<sup>37</sup> დაბოლოს, 2021 წლის ივლისისა და აგვისტოს პერიოდში ჩატარდა 15 სიღრმისეული ინტერვიუ ქალ პოლიტიკოსებთან (აქედან 12 მონაწილეობდა გამოკითხვაში, ხოლო 3 ქალი იკავებდა დანიშნულ სახელმწიფო თანამდებობას).

მეთოდოლოგიის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია პირველ დანართში.

გამოკითხვის მონაწილეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია მეორე დანართში.

ქვეყნის მიმნებები




# პოლიტიკაში ჩართული ქალების მხარდაჭერი ფაქტორები და ბარიერები

საქართველოში პოლიტიკაში ჩართვა ქალებისთვის დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული. ქალი პოლიტიკოსების უმრავლესობამ განაცხადა, რომ ოჯახის წევრები მათ ამა თუ იმ ფორმით მაინც უჭერდნენ მხარს (ცხრილი 1). გამოკითხულთა 88% ამბობს, რომ ოჯახის წევრებმა ფსიქოლოგიური და/ან ემოციური მხარდაჭერა გაუნიეს; 87% აცხადებს, რომ ოჯახის წევრები ხელს უწყობდნენ პოლიტიკური აქტიურობისთვის მეტი დრო ჰქონოდათ, მაგალითად, ეხმარებოდნენ ოჯახის წევრებისა და შვილების მოვლა-

ში; საოჯახო საქმეში, როგორიცაა დასუფთავება, საჭმლის მომზადება, საყიდლები, და სხვა. დაახლოებით 80%-მა განაცხადა, რომ ოჯახის წევრები მათ პოლიტიკურ კამპანიაში დაეხმარენ, მაგალითად, დადიოდნენ კარდაკარ, ავრცელებდნენ ბროშურებს, პლაკატებსა თუ სხვა მასალას. გამოკითხულთა თითქმის ნახევარს (46%) ოჯახი მხარს უჭერდა ფინანსურად, მათ შორის კამპანიისთვის ფულის შემონირულებით. ჯგუფებს შორის განასხვავებები გამოიკვეთა, თუმცა ვარიაცია მცირეა.

დიაგრამა N1

ოჯახისგან მხარდაჭერის მიმღებ ქალთა პროცენტული გადანაწილება და ხმარების ტიპის მიხედვით (%)



როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ინტერვიუებში მონაწილე ქალმა პოლიტიკოსებმა, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გაამახვილეს ოჯახის წევრებისგან (მეუღლის, შვილების, მშობლებისა და სხვა ნათესავებისგან) მიღებულ მხარდაჭერაზე.

„სრული მხარდაჭერა მქონდა ოჯახის მხრიდან. თავიდან, გარკვეულწილად ფინანსური დახმარებაც მქონდა ოჯახიდან, ჩემი მეუღლის მხრიდან, მიუხედავად იმისა, რომ პარტიული მხარდაჭერა არსებობდა ფინანსური და ამისი, ასე ვთქვათ, აუცილებლი საჭიროება არ იყო.

მიუხედავად ამისა, ოჯახი იმ პერიოდში ფინანსურადაც მებმარებოდა (პარლამენტის წევრი 2016-2020 წლებში, რესპონდენტი 2).

თუმცა, მონაწილეებმა ისიც აღნიშნეს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან მსგავსი მხარდაჭერა ყველა ქალ პოლიტიკოსს სულაც არ აქვთ.

„ოჯახიდან არაფერი მახსენდება, მხარდაჭერის გარდა. ორი შვილი მყავს და ჩემი მშობლები არიან დღეს, ვინც მებმარება, რომ ბავშვებს მიხედონ და მე ოღონდ ჩემს საქმეში ხელი არ შემეშალოს, ფინანსურადაც მოგეხსენებათ,


ეხლა პარტიული საქმიანობა, ეს არ არის რაღაცა მაღალანაზღაურებადი, ხო? ძირითადად დაფუძნებულია მოხალისეობრივ საქმიანობაზე, ანუ მათი მხარდაჭერა, ფინანსური კუთხით, მათი მხარდაჭერა მორალურად, ძალიან გვერდით მიდგას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემთან რომ ხდება ეს ამბავი ასე, ეს ასეა „სხვაგანაც“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 10).

ოჯახის წევრებისგან მიღებული მხარდაჭერის გარდა, პოლიტიკაში ჩართულმა ქალებმა ასევე ისაუბრეს მხარდაჭერაზე, რომელსაც იღებენ თავიანთი თემისგან, საკუთარი პოლიტიკური პარტიებისგან და საერთაშორისო ორგანიზა-

ციებისგან. მაგალითად, გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ (89%) აღნიშნა, რომ მათ პოლიტიკურ კარიერას მხარს უჭერდნენ მეზობლები და ადგილობრივი თემის წევრები. დაახლოებით იგივე რაოდენობა (87%) ახსენებს მხარდაჭერას საკუთარი პოლიტიკური პარტიის წევრებისგან. გამოკითხულთა დიდი რაოდენობა (78%) აცხადებს, რომ მხარდაჭერა მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, ხოლო 59%-მა მხარდაჭერა მიიღო ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებისგან. სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელი ქალი პოლიტიკოსების შედარებისას მხოლოდ მცირე განსხვავებები შეინიშნება (დიაგრამა 2).

## დიაგრამა N2

იმ ქალთა პროცენტული წილი, რომლებიც გარკვეულ მხარდაჭერას იღებენ (%)



ზოგიერთმა ქალმა პოლიტიკოსმა თვისებრივ ინტერვიუებშიც დაადასტურა, რომ მიიღო დიდი მხარდაჭერა ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, რომორებიცაა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI), რომლებიც მათვის ტრენინგებს ატარებენ:

„დალიან დიდი მხარდაჭერა იყო NDI, IRI-ს მხრიდან. მოგეხსენებათ ახლა საჯარო გამოსვლა, კამერასთან ურთიერთობა, რა ვიცი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ამას ყველაფერს სჭირდება სწავლა ამ ყველაფერს ჭირდებოდა პროფესიული განათლება და ამა-

ში NDI, IRI, არა მხოლოდ მე, ალბათ საქართველოს პოლიტიკოსების 90% უნდა უმადლოდეს იმ სამსახურისთვის, რასაც ისინი აკეთებენ. ძალიან კარგად მახსოვს, ინტერპარტიული იყო, ჩემი პირველი ტრეინინგი, რომელიც NDI-მ ჩაატარა და მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებებისა ამ ქალებთან დღემდე ვმეგობრობ და დღემდე გვაქვს, ასე ვთქვათ, პარტიის მიღმა ურთიერთობა“ (პარლამენტის წევრი 2016-2020 წლებში, რესპონდენტი 2).

რაც შეეხება წინააღმდეგობებს, რომლებსაც ქალები აწყდებიან პოლიტიკაში, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ეს გამოწვევები დაკავ-


შირებულია ფინანსებთან, გენდერულ სტერეო-ტიპებთან და არათანაბარ შესაძლებლობებთან, როგორც პოლიტიკური კარიერის დაწყებამდე, ასევე პარტიულ საქმიანობაში.

გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი მთავარ წინაღობად პოლიტიკური კამპანიებისათვის არსებულ შეზღუდულ ფინანსურ რესურსებს ასახელებს (41%). მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხულთა მეოთხედზე მეტი მაღალ თანამდებობებზე დაწინაურების შეზღუდულ შესაძლებლობას (27%) ასახელებს. ყოველი მეოთხე რესპონდენტი ასახელებს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას პოლიტიკაში ქალების ჩართულობასთან დაკავშირებით. შედარებით ნაკლები სიხშირით სახელდება ოჯახური პასუხისმგებლობა და ვალდებულებები (17%). ამდენივე აღნიშნავს, რომ საზოგადოება ხშირად

უფრო დიდ ყურადღებას ამახვილებს მათ პირად ცხოვრებასა და გარეგნობაზე, ვიდრე მათ იდეებზე. შედარებით ნაკლებმა პროცენტმა დაასახელა შეზღუდული პროფესიული და ფინანსური კავშირები (11%), მეგობრების (5%) და ოჯახის წევრების (3%) მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა და სხვა წინაღობები (3%). გამოკითხულთა დაახლოებით 13%-მა კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა. გარკვეული განსხვავებები დაფიქსირდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელ ქალებსა და 2020 წლის კანდიდატების შედარებისას (ცხრილი 3). კერძოდ, ქალი კანდიდატებისთვის ყველაზე დიდი ბარიერი შეზღუდული ფინანსური რესურსებია, მაშინ როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ქალებისთვის ფინანსურ რესურსებზე არა-ნაკლებ მნიშვნელოვანი ბარიერი მაღალ თანამდებობაზე დაწინაურების ნაკლები შანსია.

### დიაგრამა N3

#### წინააღმდეგობები, რომლებსაც საქართველოში პოლიტიკაში ჩართული ქალები აწყდებიან (%)



მიღებულ შედეგებს ამყარებს თვისებრივი მონაცემებიც. სიღრმისეული ინტერვიუებისას ქალი პოლიტიკოსები საუბრობდნენ წინააღმდეგობებზე, რომლებსაც ანყდებიან სახლში, სამუშაო ადგილსა თუ საზოგადოებაში.

ისეთი ოჯახური პასუხისმგებლობები, როგორიცაა სახლის საქმეებზე, ბავშვებზე, მშობლებსა და პარტნიორებზე ზრუნვა, ქალებს პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობისთვის ნაკლებ დროს უტოვებს.

„პოლიტიკური საქმიანობის, ყველაზე რთული არის ის, რომ არასდროს იცი სახლში რომელ საათზე მიხვალ... ეს ფუფუნება ყველა ქალს არ აქვს, რომ, მაგალითად, 6 საათზე, 6 საათის მერეც, დარჩეს სამსახურში. 12 საათზეც მივსულვარ ძალიან ხშირად და ეს არის ყველაზე რთული გამოწვევა ქალებისთვის, ვისაც სურს პოლიტიკაში ჩართვა კიდევ თავიდან ახალი ცხოვრება უნდა დაინტო იმ დამის 12 საათზეც და კიდევ ახალი ენერგია უნდა მოახმარო თვალისწინებას ამას ვერ იაზრებს კაცი და ამიტომ მასზე მორგებულია და მასზე ადაპტირებულია ეს გარემო...“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 10).

ქალმა პოლიტიკოსებმა იმ უპირატესობებზეც ისაუბრეს, რაც ქალებთან შედარებით, პარტიაში მყოფ მამაკაცებს აქვთ. გამოკითხვის შედეგების მსგავსად, ქალმა პოლიტიკოსებმა სიღრმისეული ინტერვიუების დროსაც ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ აქვთ მამაკაცებს მეტი პრივილეგია, მაღალი თანამდებობები და ნაკლებ რუტინული, ბიურიკრატიული საქმე.

„ნარმატებული ადამიანები არიან უფრო მეტად კაცები და გოგოები, რაღაც რუტინულ სამუშაოებზე არიან დღემდე დასაქმებული. [...] ფაქტობრივად უჩინარი ხარ, სულ ოთახში ხარ გამოკეტილი და რუტინაში ხარ ჩართული. ზოგჯერ, აი მახსოვს ესეთი შემთხვევაც, რომ ჩემს ოთახში ვზიგარ, გვერდით არის საპრიფინგო და გავიხედავდი და უცებ ბრიფინგია, რაღაც თემაზე, ისეთზე, რომ ვერც ვიგებ რა ხდება, იმიტომ რომ მე, ჩემს საქმიანობაში ვარ ჩაფლული... ხო და ამიტომ ამ საქმიანობას, კაცები ყველაზე ნაკლებად ითავსებენ ხოლ-

მე, ან თუ ითავსებენ, რა კუთხით იცით, რომ აი უცებ ‘მოდი მითხარი რა მოხდა დღეს’, ესე პრობლემური რა იყო და ეს ნავა და პრეზენტირებას გააკეთებს ამის, გინდაც ტელევიზიაში, გინდაც ლიდერთან ანუ უცებ ჩემგან აიღებს ამ ინფორმაციას და უფრო სხვანაირად, ტაქტიანად კარგად გამოიყენებს და არ ჩავა ამრაღაცა ფორმალობაში, ანკეტების შევსებაში, ბიუროკრატიაში და ა.შ.“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 10).

კვლევაში ჩართული ექსპერტების თანახმად, პარტიის ლიდერები ექსპლუატაციას უწევენ შრომისმოყვარე ქალ აქტივისტებს, მაგრამ იშვიათად ანინაურებენ მათ პარტიის შიგნით, ან ნარადგენენ მათ პოლიტიკურ კანდიდატებად. მაგალითად, საპარლამენტო და მუნიციპალური არჩევნებისას, პარტიის საქმის უმეტესობას ქალი აქტივისტები ასრულებენ (კარდაკარ სიარული, ორგანიზება, საოფისე საქმე, შევედრების ორგანიზება). ამის მიუხედავად, ისინი იშვიათად ხვდებიან რომელიმე პარტიის საარჩევნო სიის თავში.

„[ქალებს] უწევთ შიდა პარტიებში საკუთარი თავის დამკვიდრება... შიდა პარტიული სტრუქტურები და შიდა პარტიული დინამიკა არ არის საქართველოში გამჭვირვალე, ლია და კონკურენტუნარიანი, ანუ ვიღაცა ხვდება პარტიაში, არა იმიტომ რომ მას, ვთქვათ, რაღაცა განსაკუთრებული დამსახურებები აქვს, არამედ, ვიღაცა ვიღაცაზე მეტ ადამიანს იცნობს, ვიღაცა ვიღაცაზე მეტად გაჩითულია, ვიღაცას უფრო უკეთესი კავშირები აქვს და ასე... ქალებს არც ფული აქვთ, არც დიდი კავშირები. ქალები თუ ხვდებიან პოლიტიკაში, იმიტომ, რომ არიან ან ძალიან მონდომებულები ან ძალიან პატრიოტები ანუ რაღაცა ლირებულებები აკავშირებთ მათ პოლიტიკას, ან ხვდებიან იმიტომ, რომ არიან -ერები და საქმის კეთება უნდათ... ამიტომ ქალები პარტიებში ნარმოდგენილნი არიან როგორც შავი მუშები, რომლებიც უბრალოდ მუშაობენ პარტიებისთვის, ისე, რომ ძალიან ხშირად ვერ იღებენ ადეკვატურ დაფასებას, ვერც ანაზღაურებას, ვერც წინ წანევას, რასაც იმსახურებენ“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 2).

ამასთან, პოლიტიკურად აქტიური ქალების მიმართ დამკვიდრებული სტრუქტიკები და უარყოფითი დამოკიდებულებები ხშირად უშლის ხელს სხვა ქალებს პოლიტიკაში ჩართვაში. ეს ფართოდ გავრცელებული დამოკიდებულებები ხშირად მათ ოჯახის წევრების დამოკიდებულებებზეც აისახება, რომლებიც, შესაძლოა, ყოველთვის არ ემხრობოდნენ ქალის არჩევანს ჩაერთოს პოლიტიკაში. ექსპერტების აზრით, ეს გამოწვევები განსაკუთრებით მწვავედ დგას ეთნიკური უმცირესობებისა თუ სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებისთვის.

„ეთნიკურად უმცირესობებში ქალები ორმაგ დისკრიმინაციას განიცდიან, ტრადიციებიდან გამომდინარე. ეს იქნება ფიზიკური შეურაცხყოფა, ფსიქოლოგიური შეურაცხყოფა, სექსუალური შეურაცხყოფა.... [იყო შემთხვევა, როდესაც] ქმარს ჰქონდა ეგეთი დამოკიდებულება, პოლიტიკაში შენ თუ წახვალ მე შენ გაგცილდები იმიტომ, რომ უბანი რას იტყვის? პოლიტიკა რაღაც დონეზე ეთნიკურად დასახლებულ რეგიონებში აღიქმება, როგორც ბინძური, არა ქალის საქმედ“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 5).

ქალმა პოლიტიკოსებმა, ასევე, ახსენეს ის დაბრკოლებები, რომლებიც მათ კორონავირუსის პანდემიის შედეგად შეხვდათ. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ რადგან პანდემიის პირობებში ოჯახის ყველა წევრი თითქმის ყოველთვის სახლშია, ქალებს ბევრად მეტი საქმე აქვთ გასაკეთებელი. მათ უწევთ სახლის საქმეებთან გამკლავება და შვილების მოვლა, რომლებიც გაკვეთილებს ონლაინ ესწრებიან. ამის პარალელურად კი საკუთარი, როგორც პოლიტიკოსის, სამსახურეობრივი მოვალეობები აკისრიათ. ამასთან, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ, ზოგადად, ოჯახებში ძალადობის შემთხვევები გაიზარდა, რადგან ოჯახის წევრები სახლში მეტი დროს ატარებენ და ეს ხანდახან გაუსაძლისი ხდება წყვილებისთვის. მეორე მხრივ, პანდემიამ ასევე ხელი შეუშალა ხალხთან პირისპირ შეხ-

ვედრებს, მათთვის პოლიტიკური პროგრამების გაცნობას და პარტიის აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

„ზოგადად, კოვიდპანდემია ხელისშემტლელი უნდა იყოს იმიტომ, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ქალ პოლიტიკოსს ჰყავს ოჯახი, შვილები. შესაბამისად, როდესაც დისტანციური სწავლებაა, როდესაც ადამიანები დროის დიდ ნაწილს სახლში ატარებენ, როდესაც ყველას ერთ სივრცეში უწევს თანაცხოვრება... იგივე სამუშაო სივრცე ქალი პოლიტიკოსებისთვის შეიძლება შეიზღუდოს იმიტომ, რომ სხვა დამატებითი სახლის საჭიროებები უფრო პრიორიტეტული გახდეს. ასევე, პოლიტიკოსებისთვის პანდემია ძალიან რთულ როლს თამაშობს, ძალიან ბევრი სააგიტაციო პროცესი, შეხვედრების, სულ მცირე კარდაკარის პროცესი [შეუძლებელი გახდა]... ადამიანები უფრთხიან გარეთ გამოსვლას, შეხვედრებს. საინფორმაციო ბროშურას არ გვართმულენ სულ მცირე იმიტომ, რომ ვირუსის გადადების რისკი მაღლდება და ეს ამცირებს ინფორმაციის მიტანის შესაძლებლობას“ (დანიშნული თანამდებობის პირი, რესპონდენტი 15).


შეჯამების სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ქალებისთვის პოლიტიკაში მონაწილეობა არაერთ გამოწვევას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ მათ უმეტესობას როგორც ემოციური, ისე ფინანსურ და სხვა სახის მხარდაჭერა აქვს ოჯახის წევრებისგან, თემისგან, პარტიის წევრებისგან, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, მაინც არაერთი წინაღობა ხვდებათ პოლიტიკაში ჩართვისას. ეს შეიძლება იყოს ფინანსური დაბრკოლებები, კაცებთან შედარებით არათანაბარი შესაძლებლობები, საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები, რომლებიც ქალს პოლიტიკაში არ მოიაზრებს, ისევე, როგორც პოლიტიკურ საქმიანობასთან საოჯახო საქმისა და ვალდებულებების შეთავსება. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო გაამწვავა პანდემიამ.

## პოლიტიკური კამპანიები და აქტივიზაცია

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდათურამდენად ხშირად აქტივურებენ ქართველი ქალი პოლიტიკო-სები საჯარო პოზიციას საჯარო განცხადებებში ქალებისა და უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით, და რამდენად ხშირად აკრიტიკებენ კონსერვატიულ ღირებულებებს. გამოკითხულთა უმრავლესობა (95%) ხშირად, ან ზოგჯერ მაინც აკეთებს საჯარო განცხადებებს გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე. ასევე, 80%-ზე მეტს გაუკეთებია საჯარო განცხადება ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მნიშვნელობაზე, ხოლო გამოკითხულთა ორ მესამედს (67%) გამოუსატავს მხარდაჭერა სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვისადმი.

### დიაგრამა N4

ქალი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები (%)



გამოკითხულთა 66% აკრიტიკებს ხოლმე კონსერვატიულ და ტრადიციულ შეხედულებებს, მათ შორის 10% ამას ხშირად აკეთებს, ხოლო 56% ზოგჯერ გამოხატავს კრიტიკას. ამის გარდა, ქალ პოლიტიკოსთა თითქმის ნახევარი საჯაროდ აკრიტიკებს ხოლმე ეკლესიას და რელიგიურ ინსტიტუტებს, ხოლო გამოკითხულთა თითქმის იგივე რაოდენობა (45%) ასეთ ამას არასოდეს აკეთებს. დაახლოებით 7%-მა პასუხისმგან თავი შეიკავა.

რესპონდენტების სხვადასხვა ჯგუფს შორის მცირე განსხვავებები შეინიშნება (დიაგრამა 4).

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ქალი, სხვებთან შედარებით, მეტად მოწყვლადია ძალადობის მიმართ, ხოლო ძირითადი მოტივი ქალი პოლიტიკოსებისადმი მუქარისა, სწორედ მათი აქტივიზმია. რაც უფრო აქტიური არიან ქალები, მით მეტია იმის ალბათობა, რომ მათ სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებენ.

„ეს ქალის აქტიურობიდანაც არის გამომდინარე. რამდენად აქტიური იქნება ქალი პოლიტიკოსი გააჩნია რა საკითხებზე ისაუბრებს. შეიძლება დარტყმის ობიექტი გახდეს იმიტომ, რომ რაღაცა ისეთი საკითხი წამონაა, რომელიც გარკვეული ინტერესთა ჯგუფებისთვის არ იყო ხელსაყრელი, ამ თემაზე საუბარი და ამ ინტერესთა ჯგუფებმა შეიძლება მისი ბულინგი მოახდინონ და ძალადობის მსხვერპლი, თუნდაც ფსიქოლოგიური და ა.შ. [გახდეს], სხვადასხვა კომუნიკაციური შავი თუ თეთრი ტექნოლოგიებით მოახდინონ მისი დისკრედიტაცია. ამიტომ იმდენად ასაკს და იმას არ გავმიჯნავდი, რამდენადაც ამ პოლიტიკოსის სტატუსს და ქმედებებს, როგორ მოქმედებს ის და რამდენად აქტიურია და რა თემებს პოზიციონირებს“ (დამოუკიდებელი მკვლევარი/გენდერის ექსპერტი 1).

სხვა რესპონდენტები ასევე ადასტურებენ, რომ კრიტიკა განსაკუთრებით იზრდება მაშინ, როდესაც ქალი პოლიტიკოსები საჯაროდ საუბრობენ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელ საკითხებზე.

„პოლიტიკაში ჩართულ ქალებს, რაც მე მსმენია, მაგალითად, რომ აი რაღაცა კრიტიკული უთქვამთ, ან რაღაც ისეთი გაუკეთებიათ, რაც მეინსტრიმისთვის, არ იყო მისაღები, ვთქვათ დაუცავს ლგბტს უფლებები, ან ხმამაღლა ვიღაცა ნეო ნაცისტური ჯგუფისთვის უთქვამს, რომ ‘გაჩუმდი, შენი ადგილი იცოდე და არღვევ კანონს’... მერე ეს ნეო ნაცისტური ჯგუფები უტევენ ასეთ ქალებს და ლანდავენ და საშინელებებს წერენ და ყოფილა მაგალითად, რომ ყოფილა გაუპატიურების მუქარა, ყოფილა ვი-


ნება, შეურაცხყოფა და ამას აკეთებენ კონკრეტული ჯგუფები. არიან ადამიანები, რომლებიც ფეისბუქზე წერენ ‘წადი ქალო კუხნაში’ და რაღაცებებს. მაგრამ, ასევე, ჩვენ ვნახეთ, ძალიან ბევრჯერ, ორკესტრირებული და ორგანიზებული შეტევა ქალ პოლიტიკოსებზე, რომელიმე კონკრეტული ჯგუფების მიერ, ანტი ლიბერალური ჯგუფების მიერ, მაგალითად, და ეს ნეო ნაცისტური და ქსენოფონბიური ჯგუფების მიერ და ყველაზე ტრაგიკული, რაც ამ ქვეყანაში ხდება, ეს არის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით, ვიდეო მასალებით შანტაჟი და ამის გავრცელების მუქარა...“ (საერთამორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 2)

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ქალებისადმი ძალადობის შემთხვევებს ზრდის, არის წინასაარჩევნო პერიოდი და საარჩევნო კამპანია, რომლის განმავლობაშიც ქალი პოლიტიკოსები საკმაოდ აქტიურები არიან. დეპუტატობის ორმოცდაათი კანდიდატიდან, რომლებმაც განაცხადეს, რომ მონაცილეობდნენ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, ყველამ განაცხადა, რომ ხვდებოდნენ პარტიის წევრებს, აქტივისტებს და კოორდინატორებს. დაახლოებით 90% ჩართული იყო კარდაკარ სიარულში და მოგზაურობდა საქართველოს მასშტაბით ამომრჩეველთან შესახვედრად. 88% ავრცელებდა კამპანიის მასალებს, ხოლო დაახლოებით იგივე რაოდენობა აქტიურობდა აცებონკ-ზე. 88% თანამშრომლობდა მედიის წარმომადგენლებთან და 82% სიტყვით გამოვიდა საჯარო შეხვედრებზე.

შედარებით მცირე ნაწილი (58%) ესაუბრა ამომრჩევლებს ტელეფონის საშუალებით, თითქმის ნახევარი (46%) მართავდა პირად ბლოგს ან ვებგვერდს, ხოლო 38% ანთავსებდა რეკლამებს მედიასა თუ სხვა საჯარო სივრცეებში. გამოკითხულთა დაახლოებით ერთმა მესამედმა გაუგზავნა მოქლე ტექსტური შეტყობინება ამომრჩევლებს, 28% კი შეხვდა ბიზნესის წარმომადგენლებს. გამოკითხულთა ძალიან მცირე რაოდენობა იყენებდა YouTube-ს (6%) ან Twitter-ს (2%) კამპანიისთვის (დიაგრამა 5).

## დიაგრამა N5

2020 წლის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები (%)<sup>38</sup>



კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პოლიტიკაში ჩართული ქალები საქმაოდ აქტიურები არიან. ეს განსაკუთრებით ეხება ნინასაარჩევნო კამპანიის პერიოდს, როდესაც ქალი პოლიტიკოსები მართავენ შეხვედრებს, ხვდებიან ამომრჩევლებს, ავრცელებენ კამპანიის მასალებს, აქტიურობენ სოციალურ ქსელებში და აკეთებენ საჯარო განცხადებებს. თუმცა, საარჩევნო პერიოდის გარდა, ქალი პოლიტიკოსები საჯარო გამოსვლისას ხშირად საუბრობენ


ისეთ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოების-თვის ყოველთვის მისაღები არ არის (მაგალითად, გენდერული თანასწორობა, უმცირესობათა უფლებები, ან კონსერვატიული შეხედულებების კრიტიკა). ნინასაარჩევნო პერიოდში აქტიურობა, ისევე, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი განაცხადების გაუღერება, შესაძლოა, პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის და აგრესის გამომწვევი მიზეზი გახდეს.

## პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობა

პოლიტიკაში ჩართულმა ქალებმა ქალებას შეაფასეს მუქარის, დაშინების, შევიწროების და სიძულვილის ენის გამოვლენის მხრივ ქართულ პოლიტიკაში არსებული სიტუაცია. გამოკითხულ ქალთა ორი მესამედი (67%) საერთოდ არ ეთანხმება, ან არ ეთანხმება დებულებას, რომ მუქარა, დაშინება, შევიწროება და სიძულვილის ენა პოლიტიკაში ყოფინის ნაწილია და რომ ამას არაფერი ეშველება, გამოკითხულთა მხოლოდ 14% დაეთანხმა სრულად ან ნაწილობრივ აღნიშნულ დებულებას. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი და 2020 წლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ქალები თითქმის ერთნაირი სიხშირით უარყოფენ აღნიშნულ დებულებას (დიაგრამა 6).

### დიაგრამა N6

დამოკიდებულება დაშვების მიმართ, რომ ძალადობა პოლიტიკის ნაწილია (%)



კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა ნახევარზე მეტს (54%) განუცდია ამა თუ იმ ტიპის შევიწროება ან ძალადობა პოზიციაზე ყოფინის პერიოდში ან კამპანიის განმავლობაში.<sup>39</sup> რესპონდენტები, რომლებიც წარმოადგენდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას, შედარებით ნაკლებად განიცდიდნენ შევიწროებას იმ პერიოდში, როდესაც თანამდებობა ეკავათ (48%, 50 რესპონდენტი). მაშინ, როდესაც შევიწროებას განიცდიდა ყველა გამოკითხული დებულტატი, ორის გარდა, ისევე, როგორც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ქალების ორი მესამედი.

მოსაზრებები განსხვავდება იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს ყოველივე მიმართული მხოლოდ და მხოლოდ ქალებისადმი. 31% ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუქარა, დაშინება, შევიწროება და სიძულვილის ენა განსაკუთრებით მიმართულია ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ, თუმცა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52%) ამ დებულებას არ ეთანხმება. თუკი ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ქალების 23% ეთანხმება დებულებას, რომ მუქარა, დაშინება, შევიწროება და სიძულვილის ენა განსაკუთრებით მიმართულია ქალი პოლიტიკოსებისადმი, ეს წილი მნიშვნელოვნად იზრდება (44%) 2020 წლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ქალების შემთხვევაში.

თუ ძალადობის კონკრეტულ სახეებს დავაჯგუფებთ, რესპონდენტების დაახლოებით 37%-ს გამოუცდია ფიქიოლოგიური ძალადობა. გამოკითხულთა 32% აცხადებს, რომ გამოუცდია ძალადობა სოციალურ ქსელებში, ხოლო 25%-ს გამოუცდია ეკონომიკური ძალადობა. გამოკითხულთა ერთ მეხუთედზე მეტი (22%) აღნიშნავს, რომ გამოუცდია სექსუალური შევიწროება. მხოლოდ 5% ამბობს, რომ გამოუცდია ფიზიკური ძალადობა. ძალადობის სხვადასხვა ფორმას ცალკეულად განვიხილავთ მომდევნო ქვეთავებში.

## ფსიქოლოგიური ძალადობა


თუკი ძალადობის და შევიწროვების ცალკეულ ფორმებს განვიხილავთ, ყველაზე გავრცელებული ფსიქოლოგიური ძალადობაა. გამოკითხული ქალი პოლიტიკოსების 28%-მა ახსენა, რომ მათ მიმართ სოციალურ მედიაში სიძულვილის ენა გამოუყენებით. რესპონდენტთა დაახლოებით 19% ამბობს, რომ მათ პირისპირ ურთიერთობისას დაემუქრნენ, ხოლო 17%-ის თქმით, მუქარა სოციალური მედის საშუალებით მიიღეს.

გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა 16%-მა მუქარა მიიღო ელექტრონული ფოსტით, მოკლე ტე-

ქსტური შეტყობინებებით ან სატელეფონო ზარებით. რესპონდენტთა ასევე 16%-მა აღნიშნა, რომ მათ საუსვეს შეურაცხმყოფელი კითხვები პირად ცხოვრებასთან ან გარეგნობასთან დაკავშირებით, 15% პირადად, საჯარო ღონისძიებებზე დაამცირეს ან შეურაცხყვეს. გარდა ამისა, 11% ამბობს, რომ მათ არაერთხელ აედევნა ვილაც არასასურველი თუ შემაშინებელი ფორმით. შეურაცხმყოფელი სექსუალური კომენტარები შეხვედრებზე, საზოგადოებრივ ღონისძიებებსა თუ დებატების დროს უფრო იშვიათად სახელდება (დიაგრამა 7).

დიაგრამა N7

ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები (%)<sup>40</sup>



ვერბალური აგრესის, შევიწროებისა და მუქარის შემთხვევებს ქალი პოლიტიკოსები თვისებრივი ინტერვიუების დროსაც იხსენებდნენ. რესპონდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია და რომ ეს ქალებისთვის მტკიცნეული და დამამცირებელია. რესპონდენტების თქმით, მათ ავიწროებდნენ და ემუქრებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქალები არიან და მსგავს სიტუაციაში არ აღმოჩებოდნენ კაცები რომ ყოფილიყვნენ.

„ეს [სიტყვიერი შეურაცხყოფა] იმდენად ხშირია.. კონკრეტული მაგალითი რომ მითხრათ, ვამიჭირდება გახსენება, რადგან ამ მოცემულობის გავლა სულ მიწევს, გინდა პარტიის შევნით ვინდა გარეთ. აი ეთერებში, ძალიან კარგად მახსოვს [...] ნელს, ვიყავი [ერთ-ერთი არხის] ეთერში და ვდებატობთ ლარის გაუფასურებაზე თუ ფასების ზრდაზე და უცებ ბოლ ხმაზე ყვირის ეთერში, რომ ეს ქუჩის ქალი, კახპა საიდან მოათრიე, მოაშორე ეს გათახსირებული, კახპა. ეს იყო პირველი, ისედაც გავულანდლივარ, გოგო შენ რა იცი და ნადი შვილო სახლში... მაგრამ ეს ჩამრჩა, ეს იყო არგუმენტი, ფიზიკურ შეხებაზე მეტად ამას რომ გეძახიან სტრესული და მძიმე იყო... კაცი რომ ყოფილიყო ჩემ ადგილას, არ მგონია ამ სიტყ-

ვებით ეკამათათ...“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 12).


„საკრებულოს თავმჯდომარემ ესე მითხრა რო შენ რა ვინდა საკრებულოში, შენ ქუჩის ქალო-ო, აი ესე მომმართა... ყველა ტელევიზიამ ჩაინერა, შეგიძლიათ ნახოთ... იყო ყველა ტელევიზიდან კამერები ჩართული, ანუ მიზანმიმართულად მომაყენა შეურაცხყოფა... და ფეხზე რო ავდექი კიდე გამიმეორა, შე ქუჩის ქალოო... და ნუ მე როგორ მოვითმენდი მაგას, გადამეცეტა გონება და გამოვედი საკრებულოს სხდომიდან...“ (ადგილობრივი მთავრობის წევრი, რესპონდენტი 4).

## სექსუალური შევიწროება

ფსიქოლოგიურ ძალადობასთან შედარებით, სექსუალური შევიწროების შემთხვევები ნაკლებად დასახელდა. გამოკითხულ ქალთა 11% ამბობს, რომ შეუწეხებიათ უხამსი სატელეფონო ზარებით და იგივე პროცენტი აცხადებს, რომ ვიღაცამ ინტერნეტში მათთან დაკავშირებული შეურაცხმყოფელი სექსუალური კომენტარები, ყალბი სურათები ან ვიდეოები გამოაქვეყნა. (დიაგრამა 8).

დიაგრამა N8

სექსუალური შევიწროების შემთხვევები (%)<sup>41</sup>




თვისებრივი ინტერვიუების დროს ქალი პოლიტიკოსები ასევე იხსენებდნენ, რომ ხშირად მიუღიათ სექსუალური შინაარსის შეტყობინებები: „სექსუალური ხასიათის მესიჯები, ძალიან ბევრი მქონია პირადში, რა ვიცი, მე მგონი, ყველა გოგოს აქვს ეგ, ეგრეთნოდებული ეს „მესიჯ რიქვესთები“...“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 10).

## ეკონომიკური ძალადობა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალი პოლიტიკოსების 15%-ს უარი უთხრეს იმ თანხებზე, რომელიც ეკუთვნოდათ. ასევე, 9%-ისთვის უარი უთქვამთ საოფისე რესურსებზე და იგივე პროცენტმა აღნიშნა, რომ გაუნადგურებიათ ან ზიანი მიუყენებიათ მათი ქონებისთვის (დიაგრამა 9).

დიაგრამა N9

ეკონომიკური ძალადობის შემთხვევები (%)<sup>42</sup>



თვისებრივი ინტერვიუების დროს ქალმა პოლიტიკოსებმა ასევე ახსენეს შემთხვევები, როდესაც მათი საკუთრება დააზიანეს. ყოფილა მოწინააღმდეგე პარტიის აქტივისტების მხრიდან პარტიის ოფისზე თავდასხმის შემთხვევებიც.

„ერთხელ მახსოვს მანქანა დამიფხაჭნეს, იმიტომ რომ შტაბის უფროსი ვარ... ერთხელ „პაკრიშქა“ მახსოვს, რომ გამიხიეს. ნუ ესე უფრო მებრძოდნენ, ვიდრე პირდაპირ დაპირისპირებით. აი პირდაპირ დაპირისპირება, რაც იყო ერთადერთი ეგ იყო, რომ პლაკატებთან მიმართებაში, [ჩამოხიეს] რასაც პირდაპირ შევესწარი...“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 7).

„[მოწინააღმდეგე პარტიის აქტივისტები] ოფისში მოვივარდნენ, ბანერები გადავვიღებეს პლაკატების გაკვრის დროსაც იყო, ჩამოხევით და შეურაცხყოფის მიყენებით. პისტოლეტები რომ არის, იმას რომ ისვრის - საღებავებს, ხომ იცით ხელში რომ უჭირავს იმდენად გავს იარაღს რომ სანამ ისვრის და გაიგებ რა არის, ნუ ახლა ახალგაზრდები მყავს გვერდზე, ბავშვები, ადამიანები ბოლო-ბოლო ხო?.. [ესროლეს] ფანჯრებს, კარებს, მე

არ მომხვედრია, აცილებასაც ვცდილობდით ქურდობაც იყო (ადგილობრივი ხელისუფლების ნევრი, რესპონდენტი 11).

## სესსუალური და ფიზიკური ძალადობა

გამოკითხვის დროს რესპონდენტებმა სექსუალურ ძალადობის შემთხვევები იშვიათად დაასახელეს: 7%-მა თქვა, რომ მათ ვიღაც შეეხო, ჩაეხუტა ან აკოცა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ასეთი შემთხვევები თვისებრივი კვლევის დროსაც დასახელდა:

„ეს ყოფილა, ძალიან ისეთ, აკადემიურ სიკრცეებში, სადაც კაცების მხრიდან, აი, მაგალითად, თითქოს მეგობრულად, რომ ხელს გადებს, ან გხვევს, ან აი რაღაცა, შენ თვითონვე, რომ უხერხულად ვაგრძნობინებს თავს, რომ რაღაცა რომ იუარო მასთან, რაღაცა კომუნიკაცია, თითქოს ეს მეგობრული არის, მაგრამ მე ცოტა თავხედობით ვამოვირჩევი და ვაგრძნობინებ, რომ აი რაღაც ბეჭზე, სადაც ვთქვათ მოკლე ბრეტელებიანი ვაცვია და ხელის დადების დროს ან თუნდაც ხელზე ხელის მო-

კიდების დროს, რომელიც მგონია, რომ ზოგ შემთხვევაში, ძალიან ინტიმურია და შენი ნებართვის გარეშე, რა ვიცი“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 10).

ასევე, 5%-მა აღნიშნა, რომ მათ ფიზიკურად დაესხნენ თავს. არავის უხსესნებია იარაღით, დანით, ან სხვა ნივთით მუქარის შემთხვევა (დიაგრამა 10).

#### დიაგრამა N10

#### ფიზიკური ძალადობის შემთხვევები (%)<sup>43</sup>



თვისებრივ კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტების ნაწილი, პოლიტიკაში მყოფი ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობის მთავარ მიზეზად, მათ პოლიტიკურ მიკუთვნებულობას თვლის.

„ამას მე ვაფასებ, არა როგორც პიროვნულ დაპირისპირებას, მითუმეტეს არა გენდერულ ჭრილში, არამედ უბრალოდ იმ გუნდის წარმომადგენელი, რომელიც ამ ადამიანისთვის არ არის მისაღები და, შესაბამისად, ეს ხდება ასეთი სახის გამოხატვით“ (დანიშნული თანამდებობის პირი, რესპონდენტი 1).

თუმცა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მონაცემები აჩვენებს, რომ ძალადობის გამოცდილება აერთიანებს ყველა - როგორც ოპოზიციურ, ისე მმართველ - პარტიაში მყოფ ქალებს და არ აიხსნება კონკრეტული პოლიტიკური პარტიის თუ გუნდის მიკუთვნებულობით. ეს შედეგები თანხვედრაშია 2020 წელს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის და CRRC - საქართველოს მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებთან, რომლის მიხედვითაც ონლაინ სივრცეში ქალთა მიმართ ძალადობა უმეტესად გენდერული ნიშნით ვლინდება და ქალები მნიშვნელოვნად მეტ კომენტარს იღებდნენ პირად და სექსუალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით, ვიდრე მათი კაცი კოლეგები, მიუხედავად მათი პოლიტიკური კუთვნილებისა.


უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ შემთხვევაში, რესპონდენტებს პირადად არ გამოუცდიათ შევინწროება ან ძალადობა. მათი აზრით, ეს გამომდინარეობს საქართველოში ქალების პატივისცემის გამო, განსაკუთრებით კი მთიან რეგიონებში, სადაც კაცები ქალებს, განსაკუთრებით კი უფროს ქალებს, შეურაცხყოფას არ აყენებენ. ასეთ შემთხვევებში ქალები მაინც აღნიშნავდნენ ონლაინ შევინწროებას, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ეს შეტყობინებები ტროლების და ბოტებისგანაა და არა „ნამდვილი მამაკაცებისგან.“

## ქალების წარმოჩენა არასრულფასოვან პიროვნებებიდ (გენდერული სტერეოტიპები)

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქალი პოლიტიკის საკუთარმა კოლეგებმა, მედიამ, და საზოგადოებამ, შესაძლოა, არასათანადოდ/არასრულფასოვნად წარმოადგინონ მათი სქესის გამო და მათი მიღწევები დაკანინონ. გამოკითხული ქალი პოლიტიკის საკუთარმა 15%-მა აღნიშნა, რომ ოპონენტმა ის წარმოადგინეს როგორც დაბალი ინტელექტის მქონე მათი სქესის გამო. რესპონდენტთა 10% ამბობს, რომ მათი მიღწევები წარმოადგინილი იყო, როგორც პირა-

დი კავშირების შედეგი, ხოლო გამოკითხულთა 9%-ის შემთხვევაში, ტრადიციული მედია, მათი საქმიანობის გაშუქებისას, ყურადღებას მეტად ამახვილებდა მათ გარეგნობაზე და არა მათ იდეებზე. მხოლოდ მცირე განსხვავებები შეინიშნება ადგილობრივ ხელისუფლებაში მოღვაწე ქალ პოლიტიკოსთა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ქალ კანდიდატებს შორის. მთლიანობაში, მათ მიერ აღწერილი გამოცდილებები მსგავსია (დიაგრამა 11).

**დიაგრამა N11**  
**ქალ პოლიტიკის სტერეოტიპები (%)<sup>44</sup>**



თვისებრივი კვლევა ცხადყოფს, რომ არა მხოლოდ მედია, არამედ საზოგადოებაც მეტ ყურადღებას ქალების გარეგნობაზე ამახვილებს და არა მათ საქმიანობაზე. ქალი პოლიტიკის აღნიშნავენ, რომ ზედმეტად დიდი ყურადღება ექცევა მათ ვიზუალურ მხარეს და გარეგნობას და არა კონტენტს, რომელსაც ონლაინ აზიარებენ.

„რაღაც სერიოზულ საკითხზე არის ნიუსი მომზადებული, ვთქვათ პუბლიკაცია, საკითხი, რომელზეც ვიმუშავე, ვიკვლიე და ადევს რაღაც ჩემი ფოტო ამ ნიუსს, ოღონდ ეს მარტო უცხო ადამიანებს არა, ნაცნობებსაც


ეხებათ, ძირითადად აქცენტი არის ხოლმე ამ ფოტოზე როგორ გამოვიყურები, ამას ეხება ხოლმე კომენტარები რა, აი მაგალითად, „აუ რა ლამაზი ხარ“, „ეს ფერი თმა ძალიან გიხდება“ და ასეთი ხასიათის კომენტარებია და მერე მე ძალიან გული მწყდება ხოლმე, რომ რაღაცა, რაც მინდოდა, რომ გამეზიარებინა და რაზეც დავწერე ან ვიფიქრე, ეხება ვინდაც არჩევნებს, დემოკრატიას, ან რაღაცას ქვეყანაში [მიმდინარე მოვლენებს], იქ კომენტარებში აქცენტი არის, ჩემს ვიზუალურ მხარეზე, რომელიც არაფერ შუაშიარ არის“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 10).

## დისკრიმინაცია სამუშაო აღგილზე

ქალ პოლიტიკოსთა 56%-ს პირადად გამოუცდია დისკრიმინაცია პოლიტიკური კარიერის განმავლობაში. 41%-ს პარტიაში მმართველ პოზიციაზე ყოფნის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, ვიდრე მამაკაცებს; 37%-ს მიაჩნია, რომ სხვადასხვა კომიტეტში ჩართვის ნაკლები შანსი ჰქონდა, ხოლო 23%-ს არ მიეცა საკმარისი დრო დებატების განმავლობაში საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად (დიაგრამა 12).

დიაგრამა N12

სამუშაო აღგილზე დისკრიმინაციის გამოცდილება (%)



თვისებრივი ინტერვიუების განმავლობაში, რამდენიმე ქალმა პოლიტიკოსმა ისაუბრა საკუთარ პარტიაში მამაკაცის მხრიდან დაშინების შემთხვევებზე. მათი თქმით, როდესაც ქალები მამაკაცის აზრს არ იზიარებენ, ისინი მაშინვე აგრესიულები ხდებიან და ქალის დამცირებაზე გადადიან. ამასთან, ისინი მუდმივად დომინირებას და სიტუაციის კონტროლს ცდილობენ. მაშინაც კი, როდესაც კაცს და ქალს იერარქიულად ერთი სტატუსი აქვთ, კაცები ისე იქცევიან, თითქოს მათ უფრო მაღალი პოზიცია უჭირავთ, გასცემენ დავალებებს და ცდილობენ ქალების საქმიანობის დაკანინებას.

ასევე ყოფილა შემთხვევები, როდესაც მამაკაცები არ ავლენენ აგრესიას თუმცა, ფიქრობენ,

რომ ქალები მათზე დაბალ საფეხურზე დგანან და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კაცებმა უნდა მიიღონ. ასეთი შეხედულებების გამო, კაცები უბრალოდ უგულებელყოფენ პარტიის წევრ ქალებს.

*„მაგალითად ყოფილა კოლეგა მამაკაცებისგან, რომ სადღაც ხუთი კაცი შეკრებილა და ქალისთვის არ დაუძახიათ. განა იმიტომ რომ გამიზნულად მოგვთეხეს, უბრალოდ აი ასე აქვთ გამჯდარი - ახლა ეს ქალის საქმე არ არის, იმიტომ რომ დიდი კაცები ვსხედვართ და რაღაცას ვწყვეტთ“ (დანიშნული სახელმწიფო თანამდებობის პირი, რესპონდენტი 14).*

## 306 უფრო ხშირად ხდება პოლიტიკაში გენდერული ძალადობის ობიექტი?

ვინ შეიძლება უფრო მეტად განიცადოს დისკრი-მინაცია სამუშაო გარემოში? ამის შესაფასებლად შეიქმნა ცვლადი, რომელიც ასახავს, უგრძნია თუ არა რესპონდენტს, რომ კომიტეტებში ჩართვის ან მართველ პოზიციებზე წარდგენის ნაკლები შანსი აქვს, ან არ მისცემია საკმარისი დრო პო-ლიტიკური დებატების დროს. ისეთი ცვლადების

კონტროლის პირობებში, როგორებიცაა, მაგა-ლითად, ასაკი და პოლიტიკაში ჩართულობის ხან-გრძლივობა, აღმოჩნდა, რომ განქორნინებული ქალები მეტად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერ-პლნი. განქორნინებულ ქალ პოლიტიკოსთა 77%-ს (17 რესპონდენტი) გამოუცდია დისკრიმინაცია ამა თუ იმ ფორმით.

## რა ფაქტორები განაპირობებს იმას, ხდება თუ არა ქალი პოლიტიკოსი შევიწროების მსხვერპლი? <sup>45</sup>

სხვა ცვლადების კონტროლის პირობებში, მხო-ლოდ რესპონდენტის ოჯახური მდგომარეობა ასოცირდება შევიწროების გამოცდილებასთან უახლესი კამპანიებისა თუ არჩეული ვადით სა-ქმიანობის პერიოდში. დასაოჯახებელი ან გან-ქორნინებული რესპონდენტები უფრო მეტად ხდებოდნენ ძალადობის სამიზნე: დასაოჯახებელ ქალ პოლიტიკოსთა სამმა მეოთხედმა (15 რესპონ-დენტი 20-დან), და განქორნინებულ რესპონდენ-ტთა 80%-მა (18, 22-დან) განაცხადა, რომ ბოლო პერიოდში განუცდია რაიმე სახის შევიწროება.

მთლიანობაში, გამოკითხულ ქალთა უმრავლე-სობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუქარა, დაშინება, შევიწროება და სიძულვილის ენა პო-ლიტიკაში ყოფნის ნაწილია და რომ ამას არაფე-რი ეშველება. გამოკითხულთა თითქმის ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ ამგვარი დამოკიდებუ-ლება განსაკუთრებით ქალი პოლიტიკოსები-სადმი არის მიმართული.

გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა ნახევარი ამ-ბობს, რომ გამოუცდია შევიწროება ან ძალადო-ბა რაიმე ფორმით თანამდებობაზე ყოფნის, ან საარჩევნო კამპანიის პერიოდში. მსგავსი გა-

მოცდილება უფრო ხშირია დასაოჯახებელ, ან განქორნინებულ ქალ პოლიტიკოსებს შორის. ქალ პოლიტიკოსებს, ძირითადად, გამოუც-დიათ სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში (28%). ასევე, პირისპირ (19%), სოციალურ მე-დიაში (17%), ან ელექტრონული ფოსტის, შეტ-ყობინებისა თუ სატელეფონო ზარის საშუალე-ბით (16%) მიუღიათ მუქარა, რომ მათ ან მათი ოჯახის წევრებს საფრთხე დაემუქრებოდათ. მიუღიათ შეურაცხმყოფელი კითხვები გარეგ-ნობასთან ან პირად ცხოვრებასთან დაკავშირე-ბით (16%), გამოუცდიათ შეურაცხყოფა (15%), ან მიუღიათ უარი თანხებზე, რომელიც ეკუ-თვნოდათ (15%). ძალიან ხშირია სოციალურ მედიაში შეურაცხმყოფელი ან სექსუალური შინაარსის კომენტარებიც. შევიწროების და დისკრიმინაციის შემთხვევები განსაკუთრებით იზრდება წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე, რო-დესაც ქალი პოლიტიკოსები აქტიურდებიან. ამავდროულად, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევები ძალიან იმვიათად ფიქსირდება. ქალი პოლიტიკოსები ასევე გა-ნიცდიან შევიწროებას და დისკრიმინაციას თა-ვიანთ პოლიტიკურ პარტიებში, რასაც ადასტუ-რებს როგორც გამოკითხვის, ისე თვისებრივი ინტერვიუების შედეგები.

## ქალადობის განმახორციელებელი პირები

კვლევის შედეგების მიხედვით, ძალადობის განმახორციელებელი პირები, უმეტეს შემთხვევაში, მოწინააღმდეგები პარტიის წარმომადგენლები (ძირითადად მამაკაცები) ან ტროლები და ბოტები არიან, რომლებსაც პოლიტიკური პარტიები აკონტროლებენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ქალ პოლიტიკოსებს შეეძლოთ დამნაშავის სახელის თქმა ან მათი ამოცნობა, ვინაიდან შევიწროება და შეურაცხყოფა პირისპირ განიცადეს. როგორც წესი, დისკრიმინაციასა და შევიწროებაში მმართველი პარტიის წარმომადგენლები ოპოზიციურ პარტიებს ადანაშაულებენ, ხოლო ოპოზიციის წარმომადგენლები - მმართველ პარტიას.

**„ჯერ უურნალისტები და შემდეგ ჩვეულებრივი აღამიანები ფეისბუქში. ამასთან ერთად ხომ არის სპეციალური სამსახური, ბოტები, ტროლები, ესენი ხო ამაზე მუშაობენ ოპოზიციური პარტიები კი სულ ცდილობენ რომ პოზიციაში მყოფი პარტიის წევრი არასასურველად წარმოაჩინონ და ეს არის ერთ-ერთი გზა ხელისუფლებასთან ბრძლისა, მისი წარმომადგენლები რაღაცაში დაადანაშაულო, ხანდახან სიმართლის მსგავსი იყოს, ხან სულ ფეიკი იყოს, მთავარია გავრცელდეს და მერე შენ მიდი და ამტკიცე“ (პარლამენტის წევრი 2016-2020 წლებში, რესპონდენტი 5).**

რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, იმ გამოკითხული ქალი პოლიტიკოსებიდან, რომელთაც მუქარა, ძალადობა, ან შევიწროება გამოუცდიათ (54%, 81 რესპონდენტი), დაახლოებით 42%-მა (34 რესპონდენტი) განაცხადა, რომ მოძალადები იყვნენ მოწინააღმდეგებე პოლიტიკური პარტიის წევრები, ან პოლიტიკური ოპონენტები. 35%-მა (28 რესპონდენტმა) დაასახელა ონლაინ „ტროლები“ ან „ბოტები“; ასევე, უცნობები და პირები, რომლებსაც რესპონდენტები პირადად არ იცნობდნენ (28%). 26%-მა

დაასახელა პირები თავიანთი, ან პარტნიორი პოლიტიკური პარტიიდან.


შედარებით ნაკლებმა პროცენტმა (15%) აღნიშნა, რომ მოძალადები იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები. 10% მიიჩნევს, რომ მოძალადე იყო პირი, ვისი ვინაობის დადგენა რთულია (მაგ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები), ხოლო 7% მედიის წარმომადგენლებს ასახელებს. დაახლოებით 6% ასახელებს ნაცნობს ან ახლობლებს, ხოლო ასევე 6% - პროკურატურის წარმომადგენლებს. დაახლოებით 14%-მა პასუხის გაცემისგან თავს შეიკავა. მცირე განსახვავებები შეინიშნება ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლელ ქალებსა და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ქალებს შორის (დიაგრამა 13).

უმეტესწილად, ქალი პოლიტიკოსები, რომლებსაც შევიწროება ან ძალადობა გამოუცდიათ (81 შემთხვევა), აღნიშნავდნენ, რომ მათ შემთხვევაში მოძალადები მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ (46%), ხოლო რესპონდენტთა 26%-მა თქვა, რომ მოძალადები, როგორც ქალები, ისე მამაკაცები იყვნენ. რესპონდენტთა მხოლოდ 5%-მა დაასახელა ქალები, როგორც მოძალადები. ასევე, 12%-მა აღნიშნა, რომ არ იცის თუ ვინ იყვნენ მოძალადები - ქალები თუ კაცები, ხოლო დანარჩენმა 11%-მა თავი შეიკავა პასუხისგან.

შეჯამებისთვის, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მოძალადები, უმეტეს შემთხვევაში, მოწინააღმდეგები პარტიის წარმომადგენლები, ონლაინ „ტროლები“ და „ბოტები“ არიან, რომლებსაც ასევე მოწინააღმდეგები პარტიები მართავენ. მოძალადები ასევე არიან უცნობი ადამიანები ან ადამიანები, რომლებსაც რესპონდენტები ვერ ცნობენ, ასევე, კოლეგები როგორც საკუთარი, ისე პარტნიორი პოლიტიკური პარტიებიდან. ამ მიგნებებს რაოდენობრივ გამოკითხვასთან ერთად, თვისებრივი ინტერვიუებიც ადასტურებს.

### დიაგრამა N13

#### ძალადობის განმახორციელებელი პირები (%)<sup>46</sup>



բալաժոնօս ՑԵՐԱՎԼԵՆԱ Պալ Կռլի՛ւթի՛ւրսեաց

თვისებრივ ინტერვიუებში გამოჩნდა, რომ ქალი პოლიტიკოსები განსხვავებულად რეაგირებენ მათ წინააღმდეგ მიმართულ შევიწროებასა და დისკრიმინაციაზე. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ სასოწარკვეთილნი იყვნენ და თავს საშინლად გრძნობდენ, ხოლო ძალადობის შემთხვევების შემდეგ მეტ სიფრთხილეს იჩენდნენ. სხვებმა კი აღნიშნეს, რომ ისინი მებრძოლები არიან და შეუ-რაცხოფის ყოველი ახალი შემთხვევა მათ უფრო აძლიერებს, უფრო მეტად ანდომებთ, იბრძოლონ გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ, და თავიანთი, როგორც ქალების, უფლებებისთვის. ზოგიერთი ქალისთვის, განსაკუთრებით კი მა-თთვის, ვინც პოლიტიკაში უკვე გარკვეული პე-რიოდია მოღვაწეობს, ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკური პროცესის განუყოფელ ნაწილადაც აღიქმება.


„იცით რა მომენტია, შეიძლება ითქვას რომ  
ჩემს შემთხვევაში, შეიძლება ძალიან გა-  
მონაკლისი ვარ ამ კუთხით, მაგრამ იმდე-  
ნი წელია ამ სიტუაციაში ვარ რომ, რაღაც  
იმუნიტეტი მაქვს გამომუშავებული და  
თითქოს მშვიდად ვიღებ. როცა ამ ნაბიჯს  
დგამ, რომ შენ საზოგადოების წინაშე გა-  
დიხარ, როგორც პოლიტიკოსი, ხო, ეს უნდა  
გასისხლონ კუბული და გათავისებული

გქონდეს, რომ ეს [ძალადობის შემთხვევები] თანმდევია“ (ადგილობრივი ხელისუფლების ნეკრი, რესპონდენტი 13).

რაოდენობრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტების დაახლოებით მესამედს ასეთმა შემთხვევებმა კიდევ უფრო გაუზარდა მოტივაცია, რომ მეტად გააქტიურდნენ და მეტი მხარდამჭერი შეიძინონ (ცხრილი 14). ქალ პოლიტიკოსთა დაახლოებით 32%, რომელთაც გამოუცდიათ შეურაცხყოფა და შევიწროება, აღნიშნავს, რომ მათი პოლიტიკური აქტიურობა გაიზარდა, 41% ამბობს, რომ მათი აქტიურობა არ შეცვლილა, ხოლო 14% ამბობს, რომ აქტიურობა შემცირდა ძალადობის შემთხვევების შედეგად. რესპონდენტთა 36% აღნიშნავს, რომ შევიწროების და შეურაცხყოფის გამოცდილებამ მათ მეტი მხარდამჭერი შესძინა. 27% ამბობს, რომ მათი მხარდამჭერების რაოდენობა არ შეცვლილა, ხოლო 10%-ის შემთხვევაში მხარდამჭერთა რაოდენობა შემცირდა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი ქალი პოლიტიკოსები უფრო ხშირად აღნიშნავდნენ პოლიტიკური აქტივობის და მხარდამჭერების რაოდენობის ზრდას, ვიდრე შემცირებას, თუმცა, პროცენტების ანალიზისას მხედველობაში უნდა გვქონდეს ჯგუფის მონაწილეთა დაბალი რაოდენობა (დიაგრამა 14).

დიაგრამა N14

ძალადობის, შევიწროებისა, და მუქარის ყველაზე სერიოზული შემთხვევების გავლენა პოლიტიკურ საკმიანობაზე (%)<sup>47</sup>




მართალია, რესპონდენტთა დაახლოებით მესამე-დისთვის როგორც მხარდამჭერთა რაოდენობა, ისე პოლიტიკური აქტიურობის ხარისხი გაიზარდა შევიწროების ყველაზე მძიმე შემთხვევის შედეგად, თუმცა, გამოკითხვის ბევრი მონაწილე საუბრობს გაუარესებულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე (37%) (დიაგრამა 15). ამასთან, უმრავლესობა აღ-

ნიშნავს, რომ მსგავსი შემთხვევის შემდეგ ურთიერთობა ოჯახთან, მეგობრებთან ან კოლეგებთან გაუმჯობესდა, ან საერთოდ არ შეცვლილა. მხოლოდ 10% აღნიშნავს, რომ მსგავსი შემთხვევის შემდეგ მათი ურთიერთობა ოჯახთან და მეგობრებთან გაუარესდა, ხოლო კოლეგებთან ურთიერთობის გაფუჭებას გამოკითხულთა 17% აფიქსირებს.

#### დიაგრამა N15

ძალადობის, შევიწროებისა და მუქარის ყველაზე სერიოზული შემთხვევების გავლენა მენტალურ მდგომარეობაზე (%)<sup>48</sup>




ამას გარდა, პირადი უსაფრთხოების მიზნით, პოლიტიკოსი ქალები ხშირად იძულებულნი ხდებიან შეცვალონ თავიანთი რუტინა და დაგეგმილი პოლიტიკური საქმიანობა. რესპონდენტთა დაახლოებით 41%-ს დასჭირდა თავის დასაცავად მიეღო შესაბამისი ზომები ადგილობრივ ხელისუფლებაში და პარლამენტში პოზიციაზე ყოფნის ან საარჩევნო კამპანიის პერიოდში. დაახლოებით 19%-მა განაცხადა, რომ ამ პერიოდში შეცვალა ყოველდღიური რუტინა, 16%-მა აღნიშნა, რომ არ ამჟღავნებდა ინფორმაციას თავიანთი განრიგის შესახებ ინტერ-

ნეტში, 11%-მა მოითხოვა ინფორმაცია უსაფრთხოების ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამის გარდა, 9% თავს არიდებდა ონლაინ მედიას, ასევე 9% თავს არიდებდა პოლიტიკურ შეხვედრებზე და დემონსტრაციებზე სიარულს, 5% თავს არიდებდა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, 3% კი - სახლიდან მარტო გასვლას. ასევე 3%-მა თქვა, რომ დამალა საკონტაქტო ინფორმაცია ხალხისგან. შედარებით ნაკლებია მათი რაოდენობა, ვინც სხვა ზომებს მიმართა, ან შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი (დიაგრამა 16).

## დიაგრამა N16

### პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიღებული ზომები (%)<sup>49</sup>



როდესაც ქალები ძალადობის შესახებ ხმას იმაღლებენ, ეს სხვა ქალ პოლიტიკოსებსაც აძლიერებს. გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა უმრავლესობა (60%) ეთანხმება ან სრულად ეთანხმება დებულებას, რომ კანდიდატების მიერ საზოგადოდ საუბარი მათ მიერ გამოცდილ შევიწროებასა და დაშინებაზე პოლიტიკაში ჩართულ სხვა ქალებს ეხმარება, რომ ამ თემებზე საუბარი დაიწყონ. გამოკითხულ ქალთა სამი მეოთხედი

(75%) ასევე არ ეთანხმება დებულებას, რომ ასეთი ქალები სუსტად არიან მიჩნეულნი. კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ექსპერტის თანახმად:

„[ქალი პოლიტიკოსის სახელი], ამ თავის საციიელით, ძალიან გააძლიერა ყველა ქალი. დიდი სტიგმა დაარღვია და ძალიან დიდი გარღვევა გააკეთა, რომ ეს უკვე აღარ არის

სასირცხვილო ამბავი. ქალებს აქვთ ცხოვრება, პირადი მათ შორის, შესაბამისად ამითი მანიპულირება და ამით შანტაჟი არის ნარმოუდგენებელი და მიუღებელი. [ქალი პოლიტიკოსის სახელი] კი არ მოკვდა და კი არ ჩაჯდა სახლში, არამედ გამოვიდა და ამხილა, ისინი ვინც ეს გააკეთა და ამით, ძალიან დიდი სტიმული მისცა სხვა ქალებს... რა სოლიდარობაც დავინახე ქალების მხრიდან მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთთან არ ჰქონდათ კარგი ურთიერთობა ხო, ეს მეტყველებდა იმაზე, რომ ამ პრძმლაში, ყველა ქალი არის ერთად” (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 2).

შევიწროებასა და მუქარაზე ქალი პოლიტიკოსების რეაქციები განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ ქალი პოლიტიკოსების ნაწილი თავს განადგურებულად გრძნობს და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შესახებ საუბრობს, ბევრი აღნიშნავს, რომ ასეთმა შემთხვევება გააძლიერა, და ახლა მეტი ენერგიით იბრძვიან გენდერული დისკრიმინაციის წინაღმდეგ.

რესპონდენტების ნაწილი იღებს შესაბამის ზომებს საკუთარი თავის ძალადობისგან დასაცავად. ეს ქმედებები მოიცავს ყოველდღიური ცხოვრების წესის შეცვლას და ონლაინ სივრცეში პირადი ინფორმაციის და განრიგის დამალვას.


## ქალადობის შესახებ შეტყობინება და დახმარების გზების ძიება

ხშირ შემთხვევაში, ქალი პოლიტიკოსები დასახმარებლად ოჯახის წევრებს და მეგობრებს მიმართავს. იმ ქალების უმეტესობას (81%), ვისაც შევიწროება და მუქარა გამოუცდია, ყველაზე სერიოზული ინციდენტის შესახებ ოჯახის წევრებთან ან ახლო მეგობრებთან უსაუბრია. 65% მომხდარს პარტიის ლიდერებთან ან კო-

ლეგებთან განიხილავდა, 40% სხვა ადამიანებს ესაუბრა, ხოლო არასამთავრობო ან ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს მხოლოდ 21% დაკავშირებია. მოცემული განაწილება დაახლოებით მსგავსია სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფისთვის (დიაგრამა 17).

დიაგრამა N17

დახმარების ძიების გზები (%)<sup>50</sup>




იმ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს, რომლებსაც მუქარა, შევიწროება ან ძალადობა გამოუცდია, მომხდარის შესახებ არ შეუტყობინებია ოფიციალური ორგანოებისთვის (52%, 42 შემთხვევა).

16% ამბობს, რომ ესაუბრა პოლიციას ან პროკურატურას, 12%-მა მომხდარი განიხილა ადგილობრივი თვითმმართველობის გენდერული

თანასწორობის საბჭოსთან, 7%-მა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან ან სხვა საარჩევნო ორგანოსთან, 5%-მა სახალხო დამცველთან, 4%-მა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, ხოლო 2% სხვა ფორმალურ ორგანოებს დაუკავშირდა. 14%-მა ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა (დიაგრამა 18).

#### დიაგრამა N18

ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინება (%)<sup>51</sup>




42 რესპონდენტს, რომლებსაც ძალადობის ფაქტის შესახებ არც ერთ ოფიციალური ორგანოსთვის არ მიუმართავთ, ჰქითხეს თუ რამ განაპირობა მათი ქცევა. ქალ პოლიტიკოსთა დიდი ნაწილის (43%) განმარტებით, მათი შემთხვევა საჭიროებდა პოლიტიკურ პასუხს და არა სამართლებრივ ნაბიჯებს. 36% ამბობს, რომ თავად შეძლო პრობლემის მოგვარება, ხოლო 21%-მა მომხდარი უმნიშვნელოდ და არასაკმარისად

სერიოზულად მიიჩნია. 7%-მა საკითხი არ გაახტიარა და საიდუმლოდ შენახვა ამჯობინა, 5%-ს მომხდარი არ განუხილავთ, რადგან ჩათვალეს, რომ ამით მათ პოლიტიკურ კარიერას ზიანი მიადგებოდა, 2% თავს უხერხულად გრძნობდა, ხოლო ასევე 2%-ს მიაჩნდა, რომ მომხდარის შესახებ განცხადება ვერაფრით დაეხმარებოდა. 12%-მა კითხვაზე პასუხისგან თავი შეიკავა (დიაგრამა 19).

## დიაგრამა N19

მიზეზები, რომელთა გამოც ქალები ძალადობის, შევიწროებისა, თუ მუქარის შემთხვევაში ოფიციალურ ორგანოს არ მიმართავენ (%)<sup>52</sup>



ქალი პოლიტიკური ქალები, რომლებსაც არ განუცხადებიათ ვერბალური აგრესის და მუქარის შემთხვევების შესახებ, ამბობენ, რომ საქმის ობიექტურად და სათანადოდ გამოძიების იმედი არ აქვთ. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს პოლიტიკური ნება ისეთი შემთხვევების გამოძიებისა, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენელ ქალებს არ ეხება. მათი თქმით, როდესაც ისინი აფიქსირებენ სიტყვიერი შეურაცხყოფის ან მუქარის შემთხვევებს, ამას რეალური შედეგები არასდროს მოჰყვება და რეალურად არავინ ისჯება.

„საუბრით ბევრთან მისაუბრია, მაგრამ არაოფიციალურ პირებთან, არც პოლიციის მიმიმართავს, აზრი არ აქვს. [ერთ შემთხვევაში] მანქანიდან მანქანაში შემავინა ადამიანმა სამი წლის ბავშვი ყავდა თან და მისი შეილის თვალწინ სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა და სანამ დაძრავდა მანქანას, ფოტო გადავუდე მანქანის ნომერს და აღმოვაჩინე ვინ იყო საჩივარიც დავნერე ხელი არ გაანძრიეს საერთოდ, ვითომ მივიდნენ და არ დახვდა სახლში მერე გაიმართა სასამართლო ერთი თვის მერე და [მოსამართლის სახელი

და გვარი] გაამართლა ადამიანი, რომელზეც ბევრი ადამიანი ადასტურებდა, რომ ასე იყო. თან ქართული ოცნების წინ უამრავი კამერა ადასტურებდა ამას და ესეც არ ამოიღეს. იმ მასალებით, რომელიც პოლიციამ წარადგინა ადმინისტრაციულადაც არ დააჯარიმეს [დიახ], ბევრჯერ მიმიმართია, მაგრამ უშედეგოდ. იმ წუთში ვფიქრობ ხოლმე, როგორ არ უნდა მიმართო პოლიციას და ინსტიქტურად 112-ში აკეთებ ზარს, მე ამ წუთამდე შედეგი არ მქონია. (ადგილობრივი ხელისუფლების ნევრი, რესპონდენტი 11).

სხვა შემთხვევაში ქალებს ეშინიათ, რომ მათ სერიოზულად არავინ მიიღებს, თუ ვერბალური აგრესის და მუქარის შესახებ განაცხადებენ. იმ შემთხვევაში, როდესაც აგრესია თავიანთი პარტიის წარმომადგენლებისგან მოდის, ქალი პოლიტიკოსები აღნიშნავენ, რომ პარტიის რეპუტაციის დაცვის მიზნით, ფორმალურ ორგანოებს არ მიმართავენ.

„როცა გარე პირებს ეხება არავისთვის არ მიმიმართავს, იმიტომ რომ მვონია აზრი არ აქვს არანაირად, იმიტომ რომ არასერიოზულად აღიქვამენ. ჰყონიათ, რომ რამეს აზვიადებ, გენდერულად სენსიტიურები ქალებიც კი არ არიან და ეგენი ხო საერთოდ. შეიძლება კიდევ უფრო მეტი თავისტკივილის ან ბულინგის მსხვერპლი გავხდე. ან გატარონ და ბოლოს რა, ანუ არაეფექტურიც მგონია და არასდროს მიმიმართავს, რომ მე ეს დამიახეს, თუმცა, არ არის ხელნამოსაკრავი [შემთხვევები]... რაც შეეხება პარტიის შიგნით, რიგ შემთხვევებში ამას უმტყუნა

ნერვებმა და კამათად ვთვლი. არ შეიძლება ამას სისტემატიური ხასიათი ჰქონდეს და ჩემ შეცდომადაც ვთვლი ამას, ვიაზრებ რომ ის მაბულინგებს და ცუდად იქცევა... ალბათ პარტიას, არ ვიცი ვის უნდა მივმართო?.. პარტიის გარეთ რომ არსებობს რამე უწყება, ალბათ, ეგეც პრობლემაა და ალბათ არ გავიტანდი, პარტიის იმიჯისთვის” (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 12).

შევიწროების და მუქარის შემთხვევაში, ქალი პოლიტიკოსები ხშირად მიმართავენ დასახმარებლად ოჯახის ნევრებს და ახლო მეგობრებს, კოლეგებს და პარტიის ხელმძღვანელებს, ხანდახან კი არასამთავრობო და ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს. იშვიათ შემთხვევებში ისინი მიმართავენ ფორმალურ ორგანოებს, მაგრამ ნახევარზე მეტი რესპონდენტი ამბობს, რომ არ მიუმართავთ არც ერთი ფორმალური ორგანოსთვის.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, თუ რატომ არ აცხადებენ ქალი პოლიტიკოსები ძალადობის და დისკრიმინაციის შესახებ. ბევრი მიიჩნევს, რომ მათი შემთხვევა პოლიტიკური ხასიათის იყო, რომელიც პოლიტიკურ და არა სამართლებრივ რეაგირებას საჭიროებდა; რესპონდენტთა ნაწილი ამჯობინებს პრობლემას თავად გაუმკლავდეს და საქმე არ გაართულოს; ზოგიერთ რესპონდენტს არ აქვს იმედი, რომ საქმეს ნორმალურად გამოიძიებენ. ზოგიერთ შემთხვევაში ქალებს ეშინიათ, რომ მათ სერიოზულად არავინ აღიქვამს, თუ ვერბალური აგრესის და მუქარის შესახებ განაცხადებენ. ონლაინ შევიწროების შემთხვევაში, მომხმარებლის დაბლოკვა და იგნორირება ყველაზე ხშირი გამოსავალია.


## პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო ზომები და რეაგირების მექანიზმები

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ მთლიანობაში, რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი არ ეთანხმება, ვიდრე ეთანხმება მოსაზრებებს, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკაში ჩართული ქალების წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევების თავიდან აცილების, სათანადო ორგანოების-

თვის შეტყობინებისა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები. ამ მხრივ შეიმჩნევა მცირე განსხვავებები ადგილობრივი თანამდებობის პირებსა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატი ქალების მოსაზრებებს შორის (დიაგრამა 20).

### დიაგრამა N20

ქალების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე არსებული კანონმდებლობის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმებისა, და არსებული სერვისების მიმართ დამოკიდებულებები (%)



მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ არ-სებული კანონმდებლობა გამოკითხულ ქალთა 45%-მა უარყოფითად შეაფასა, თვისებრივი ინ-ტერვიუმების დროს, ექსპერტებმა, ისევე როგორც ქალმა პოლიტიკოსებმა, ქალთა მიმართ ძალადო-ბის მარებულირებელი ზოგადი კანონმდებლობა მთლიანობაში დადებითად შეაფასეს. ძალადო-ბის წინააღმდეგ უკანასკნელ პერიოდში ამოქ-მედებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, ექსპერტები ხაზს უსვამდნენ 2016 წლის შემდეგ კანონმდებლობაში დადებით ცვლილებებს. რეს-პონდენტები მიიჩნევენ, რომ მთავრობამ ძირიუ-ლი ცვლილებები განახორციელა ქალების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. მაგალითად, დიდალი სამუშაო შესრულდა ოჯახში ძალადობის პრევენ-ციისა და დამნაშავეების დასჯის თვალსაზრისით. პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა, ექს-პერტთა აზრით საქმე მაინც წინ მიდის. ექსპერ-ტები ასევე იმედოვნებენ, რომ მომავალი მოწვე-ვის პარლამენტი უფრო მეტ ცვლილებას შეიტანს კანონმდებლობაში ქალთა უფლებებთან დაკა-ვშირებით. ამასთან, ზოგიერთი გამოთქვამდა კრიტიკულ მოსაზრებასაც. მათი აზრით, ხშირად არსებული კანონები სათანადო არ სრულდება.

„კი, მოძალადე ისჯება, ეს ძალიან ფანგას-ტიური რამეა, რომ ასე ხდება, იმიტომ რომ ასე არ ხდებოდა. პოლიცია ძალიან სერიოზუ-ლად აქცევს ამას ყურადღებას და ახლა აღარ არის ის დამოკიდებულება, რაც ადრე იყო... თუმცა, ძალადობის მსხვერპლ ქალს რჩება ის პრობლემები, გარდა იმისა, რომ მოძალა-დეს აშორებენ. ეს პრობლემები ისევ ძალაშია და დარჩენილია, მაგალითად ის, რომ უმუშე-ვარია, დამოკიდებულია მასზე მოძალადებე, არ აქვს საკუთრება, არ აქვს ბინა, არ აქვს არაფერი დედამიწის ზურგზე, ვერსად მიდის. ის კაცი, ციხიდან რომ გამოვა, უბრუნდება ამ ოჯახს, მეორდება ძალადობა და ა.შ. ანუ რაღაც სიღრმისეული ცვლილებები არის მო-სახდენი კიდევ და ამაზე მომავალი პარლა-მენტი, იმედია, იმუშავებს.“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 2).

„მე ვფიქრობ, რომ საქართველოში დღეს პრობლემა არ გვაქვს კანონმდებლობასთან

მიმართებით, არამედ მისი პრაქტიკაში ეფექ-ტური აღსრულების მიმართულებით გვაქვს გამოწვევები. ცხადია, ის ცვლილებები რაც ხორციელდება ძირითად შემთხვევაში ემ-სახურება საერთაშორისო სტანდარტებთან ჩვენი კანონმდებლობის პარმონიზაციას და დაახლოებას და პოზიტურად ვაფასებ, თუმცა, მათი პრაქტიკაში აღსრულების კუ-თხით მეტი ღონისძიებების საჭიროებას ჩვენ ვხედავთ“ (სახალხო დამცველის ოფისი, ექს-პერტი 3).

ქალ პოლიტიკოსებთან ჩატარებულმა თვისე-ბრივმა ინტერვიუებმაც მსგავსი შედეგები აჩ-ვენა. ძალადობის მსხვერპლი ქალი პოლიტიკო-სებისთვის არ არსებობს კონკრეტული რეგუ-ლაციები, სერვისები, ან მექანიზმები. თუმცა, ქალთა მიმართ ძალადობის მარებულირებელი ზოგადი კანონმდებლობა ბევრი რესპონდენტის-თვის მისაღები და ადეკვატურია. პრობლემა მის განხორციელებაშია.

„რეალურად, ძალადობის წინააღმდეგ გვაქვს ჩვენ ძალიან კარგი კანონმდებლობა, საერ-თაშორისო სტანდარტების შესაბამისი. ის, რომ რაღაცა ინდივიდუალურ შემთხვევაში, ან ერთეულ შემთხვევაში ეს შეიძლება არ შესრულდეს სათანადოდ, არ ნიშნავს იმას, რომ უნდა ვავიქცეთ და კანონი შევცვა-ლოთ“ (დანიშნული სახელმწიფო თანამდე-ბობის პირი, რესპონდენტი 14).

„ნამდვილად არ არსებობს სპეციალური სერვისები, ეს ნამდვილად შემიძლია გი-თხრათ. ანუ არსებობს ჩვეულებრივი, ჩვენი სამართალდამცავი სისტემა მთლიანობაში, ეს შეიძლება იყოს ობიექტების აპარატი, შეიძლება იყოს პერსონალურ მონაცემ-თა დაცვის ინსტუტორი, ანუ საყოველთაო სერვისები, რაც სახელმწიფოს აქვს. რაღაცა კონკრეტული სერვისები, არც მოონია, რომ რომელიმე პარტიაშიც არსებობდეს, რამე სპეციალური, ქალებისთვის შექმნილი სერ-ვისი. შეიძლება ცოტა ხელოვნურიც იყოს. ამ შემთხვევაში ისევ და ისევ ჯობია იმ არსებუ-ლი სტრუქტურების გაძლიერება“ (დანიშნუ-ლი თანამდებობის პირი, რესპონდენტი 1).

გარდა ამისა, ზოგიერთი ქალი პოლიტიკოსის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის მარეგულირებელი კანონმდებლობა, არ არსებობს ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოძიების პოლიტიკური ნება.

„ზოგადად, არსებული კანონმდებლობა ფარავს ყველანაირი ძალადობის წინაღმდეგ საკითხებს. არ აქვს მნიშვნელობა ქალების მიმართ ძალადობა იქნება, სექსუალური უმცირესობების თუ ასე შემდეგ. ჩვენი სახელმწიფოს პრობლემა კანონმდებლობაში კი არ არის, ჩვენი სახელმწიფოს პრობლემა არის აღსრულებაში და ჩვენი სახელმწიფოს პრობლემა არის თვითონ სახელმწიფოს ნებაში“ (პარლამენტის წევრი 2016-2020 წლებში, რესპონდენტი 2).

ამასთან, ზოგიერთი რესპონდენტის თქმით, გამომძიებლები, რომლებიც მუშაობენ შევიწროების, მუქარისა, და ძალადობის შემთხვევებზე, დაბალ კვალიფიციურები არიან, და სამუშაოს სათანადოდ ვერ ასრულებენ. ასე რომ, მაშინაც კი, თუ მექანიზმი ადგილზეა, ის ნაკლებ ეფექტურია.

„აյ ინსტიტუციურ ხარვეზთან და პრობლემასთან გვაქვს საქმე. პროეურატურამ რომ გამოიძიოს, შინაგან საქმეთა სამინისტრო რომ უშუალოდ ჩაერთოს, პროეურატურამ რომ თავის საქმე გააკეთოს, ამისთვის უნდა არსებობდეს მართველი გუნდის ნება, რომელი გუნდიც აკომპლექტებს ამ შემადგენლობას, ამ ქვედანაყოფებს“ (დანიშნული თანამდებობის პირი, რესპონდენტი 15).

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის წინაღმდეგ არსებულ კანონმდებლობასა და პრევენციის მექანიზმებს კვლევის მონაწილეები სხვადასხვაგვარად აფასებენ. რესპონდენტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ძალადობის შესახებ შეტყობინებისა თუ პრევენციის ეფექტური მექანიზმები არ არსებობს, და კანონმდებლობა სათანადოდ ვერ არეგულირებს პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის საკითხებს. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილისთვის სერვისები და მექანიზმები გამართულია. გარდა ამისა, რესპონდენტთა ნაწილი პრობლემას კანონმდებლობის განხორციელებაში ხედავს. მათი შეფასებით, მართალია კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, პრაქტიკაში მისი განხორციელება გამოწვევად რჩება.

## პრევენციის მექანიზმები: როგორ შეიძლება ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის თავიდან აცილება?

რა შეიძლება გაკეთდეს პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად? რესპონდენტები განიხილავენ ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის პრევენციისა და დასჯის არსებულ მექანიზმებს. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო პასუხისმგებელია როგორც გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შემუშავებასა და დახვენაზე, ისე შესაბამისი სტრატეგიის უზრუნველყოფაზე. ამ მიმართულებით მუშაობს საქართველოს სახალხო დამცველიც (ომბუდსმენი), რომელიც ქალ პოლიტიკოსთა მიმართ ძალადობის შესახებ შეტყობინების შესაბამის პოლიტიკას და მექანიზმებს ადგენს. ამ ყველაფრის მიუხედავად, არსებული მექანიზმები ხშირად ნაკლებ ეფექტურია. ექსპერტების აზრით, მოქმედი პოლიტიკა და მექანიზმები გადახედვას საჭიროებს, რათა უკეთ გაუმკლავდეს ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინების პროცესში ნარმოქმნილ წინაღობებს. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ქალები ვერ ბედავენ ძალადობის შესახებ შეტყობინებას, რადგან საპასუხოდ ანგარიშსნორებისა და კიდევ უფრო მტრულ გარემოში ცხოვრებას მოელიან.

„[ქალმა პოლიტიკოსმა] შეიძლება გენდერული თანასწორობის საბჭოს მიმართოს, ომბუდსმენს მიმართოს, რაღაცა გზები ბუნებრივია არსებობს, მაგრამ არ მსმენია, რომ ამ გზებმა ეფექტურად იმუშავა“ (დამოუკიდებელი მკვლევარი/გენდერის ექსპერტი 1).

ექსპერტების შეფასებით, არ ხდება შემთხვევების სათანადოდ გამოყიდვა, ამიტომ ქალები შევიწროებისა და მუქარის სხვა შემთხვევების შესახებ ლაპარაკისგან თავს იკავებენ.

„არსებული პრაქტიკა დიდად არ ახალისებს ქალებს იმისკენ, რომ წავიდნენ და მიმართონ ამ უწყებებს, რადგან ის შემთხვევები, რაც უკვე გავრცელდა მათ მიმართ არ გამოვლენილან დამნაშავეები და არავინ არ

დასჯილა. შესაბამისად, ეს არ უნერგავს ქალ პოლიტიკოსებს, რომ შეუძლიათ მივიდნენ სამართალდამცავ უწყებაში და მტრული გარემოს გარდა რაიმე სხვა იქ მიიღონ, ამიტომ ეს ძალიან ცუდი პრეცედენტია...“ (გენდერული თანასწორობის ექსპერტი, ექსპერტი 9).

„რეალურად არსებობენ ქალები, ვინც იყვნენ მსხვერპლი, ეს პრობლემა არ არის გამოძიებული, დამნაშავე არ არის დასჯილი, ძალიან არასწორ მესიჯს აგზავნის ეს ზოგადად ხალხში ეს ბოლო შემთხვევა რაც იყო [ქალი პოლიტიკოსის სახელი], პარლამენტის ტრიბუნიდან, სთხოვს, პრემიერებს და ვიდაცებს, რომ გამოიძიეთ ჩემი საქმე, მეტი რა ქნას ახლა ამ ქალმა და არაფერი“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 2).

პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის და მართვის თვალსაზრისით სახელმწიფო ინსტიტუტებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. ექსპერტებმა ისაუბრეს გენდერული დისკრიმინაციის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე და შეტყობინების სპეციფიკურ მექანიზმებზე. მართალია, მექანიზმები ადგილზეა, თუმცა, ხშირად არ ხდება მათი გამოყენება. კვლევაში ჩართული ექსპერტები ხაზს უსვამენ ფაქტს, რომ ხელისუფლებამ დროულად უნდა იმოქმედოს და ხმამაღლა ისაუბროს პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობაზე.

„ჩვენ ვიცით რომ ინსტიტუციონალიზებულია თუნდაც მთავრობის დონეზე არსებობს, უწყებათაშორისი კომისია ადამიანის უფლებებზე და აი გენდერულ თანასწორობაზე, პარლამენტშიც, ადგილობრივ თვითმმართველობებშიც არის გენდერული თანასწორობის საბჭოები. ეს ინსტიტუციური მექანიზმები მარტო ფურცელზე ხომ არ არის დანერილი. ჩემი აზრით, ეს ინსტიტუციები უნდა გახდნენ ყველაზე ხმამაღლი მოსაუ-

ბრეები ამ საკითხებზე და რადგან გვაქვს ეს ინსტიტუციები მათ პროაქტიულად უნდა დაინყონ მუშაობა და საუბარი. მოხდება რაღაცა? პარლამენტის გენდერული საბჭო უნდა იყოს ინიციატორი, გააკეთოს განცხადება, მოუწოდოს ყველა პარლამენტის წევრს რომ ამას შეუერთდნენ“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 4).

ექსპერტების მსგავსად, ქალი პოლიტიკოსები ასევე საუბრობენ სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობაზე. თვისებრივი ინტერვიუების დროს, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი ქალი პოლიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ხელისუფლებამ ამ პროცესში მთავარი როლი უნდა შეასრულოს. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც დასახელდა, არის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციის საკითხი. ამ თვალსაზრისით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სოციალურმა სამსახურებმა, პროკურატურამ და ყველა სხვა შესაბამისმა ორგანომ კოორდინირებულად უნდა იმუშაონ. მეორეს მხრივ, ზოგიერთმა რესპონდენტმა ასევე აღნიშნა, რომ როდესაც საქმე ხალხის მენტალიტეტს ეხება, მთავრობას ცვლილებების განხორციელება ყოველთვის არ ხელეწიფება.

„მე, ზოგადად, ყველა პრობლემაში და ყველა პრობლემის მოგვარებაში, პირველ რიგში, ვხედავ სახელმწიფოს როლს. მაგრამ სწორად არ მიმაჩნია ხოლმე სახელმწიფოს დადანაშაულება, მითუმეტეს ისეთ საკითხებში, რომელიც რაღაცა შენი ნარსულის ნანილია, კულტურის ნანილია, რომლის შეცვლასაც დიდი დრო სჭირდება... და მარტო ესე, იარაღით დადგომით, გადატანითი მნიშვნელობით ვამბობ, არ შეიცვლება ანუ... კანონის ძალით ჩარევა და ესეთები, არ მუშაობს. დასჯა და... გვინახავს, კარგი კანონები გვაქვს ქალადგზე, რომელიც პრაქტიკაშიარ მუშაობს... ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომ ყველაფერი ახლის შეპარება ამ საზოგადოებას უნდა ნელ-ნელა... არა აგრძესით“ (დანიშნული სახელმწიფო თანამდებობის პირი, რესპონდენტი 14).

ხელისუფლებასთან ერთად, პოლიტიკური პარტიებიც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადო-

ბის საკითხების მართვაში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ მხრივ პარტიებსაც უფრო აქტიური მუშაობა მართებთ, რომ შეიქმნას პარტიათაშორისი მექანიზმი პოლიტიკაში ჩართული ქალების ძალადობისან დასაცავად. ქალ პოლიტიკოსებს კი განსაკუთრებული აქტიურობა მართებთ. ამის კარგი მაგალითი იყო სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ქალი წევრების შეხვედრა (რასაც ერთობლივ მემორანდუმზე ხელის მონერა მოყვა), სადაც მათ ერთობლივად დაგმეს ძალადობა. ინფორმანტები აღნიშნავენ, რომ ეს ყველა პოლიტიკური პარტიის, ერთსულოვანი გადაწყვეტილება იყო, მმართველი პარტიის - „ქართული ოცნების“ გარდა.

„პოლიტიკური პარტიების ქალმა წევრებმა უნდა გააკეთონ რაღაც, თუნდაც სიტყვიერი შეთანხმება, თუ ეს არ იქნება ფურცელზე, რომ ასეთ შემთხვევაში ერთმანეთის გვერდზე დადგებიან და ერთმანეთს მოუწოდებენ ჩვენ ვნახეთ უკვე, ბოლოს რაც იყო მრავალ-პარტიული შეხვედრა პარლამენტის ნინ, ფაქტობრივად ქართული ოცნების გარდა ყველა პარტიის წარმომადგენელი იყო“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 4).

ექსპერტებმა ასევე ისაუბრეს შიდა პარტიულ შეთანხმებებსა და დისკრიმინაციისგან ქალების დაცვის წესებზე.

„პოლიტიკურმა პარტიებმა ის როლი უნდა ითამაშონ, რომ თვითონ უნდა ჰქონდეთ, პირველ რიგში, შინაგანანესი, ერთგვარი რაღაც მექანიზმი, როგორც, მაგალითად, ჩვენს ორგანიზაციას აქვს სექსუალური შევიწროვების შესახებ. ისე უნდა არსებობდეს არა მხოლოდ სექსუალურ შევიწროვებაზე, არამედ ბევრი ტიპის პრობლემაზე. იმიტომ, რომ როდესაც ქალი შიგნით გრძნობს თავს დაცულად ანუ პარტიაში და თვითონ აქვს მას ამის შეგრძნება, რომ მას არაფერი არ ემუქრება, ეს უკვე ძალიან დიდი ნაბიჯია იმისთვის, რომ მას მოტივაცია ჰქონდეს გაგრძელების და ჯანსაღი სამუშაო გარემოსი“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 7).

ქალმა პოლიტიკოსებმა თვისებრივი ინტერვიუების მსვლელობისას აღნიშნეს, რომ ყველა

პარტია უნდა შეთანხმდეს და გაანადგუროს ნებისმიერი მასალა, რომელიც უკანონოდ არის მოპოვებული და გამოიყენება ქალი პოლიტიკოსების დაჩაგვრის მიზნით. იმის მიუხედავად, თუ ვინ იქნება ხელისუფლებაში, ეს მიდგომა უნდა შენარჩუნდეს, ქალების დისკრიმინაცია უნდა შეწყდეს.

**არასამთავრობო ორგანიზაციები** ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირებასა და პრევენციაში. ისინი მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში და ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას უწევენ იმ ქალებს, რომლებიც ძალადობის შესახებ ღიად აცხადებენ. სამოქალაქო სექტორი ძალადობის პრობლემაზე ხმამაღლა უნდა საუბრობდეს. რესპონდენტების თქმით, რაც კი ქალთა უფლებების დასაცავად აქამდე გაკეთებულა, მათი დაუღალავი შრომის შედეგია.

„არასამთავრობო ორგანიზაციების როლი, ბუნებრივია, არის საქმაოდ დიდი ამ პროცესში, ხო, ეს სამოქალაქო საზოგადოება ძალიან დიდ როლს თამაშობს. იქნება ეს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, ხო, თუ მეტ მსხვერპლის დაცვა. იმიტომ, რომ ჩვენ ვთქვით, რომ ქალი დგება გამოწვევების წინაშე, როდესაც ის აცხადებს ამა თუ იმ ძალადობის შესახებ და მას სჭირდება მხარდაჭერა და ეს იქნება იურიდიული, ფსიქოლოგიური თუ სხვა ტიპის მხარდაჭერა, რასაც ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი ასეთ ადამიანებს გამოუცხადებდა“ (დამოუკიდებელი მკვლევარი/გენდერის ექსპერტი 1).

ერთი-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ პირველად გაეროს ქალთა ორგანიზაციამ წამოჭრა პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხი. ეს, ამ მხრივ, დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

„მე მგონია, რომ უშუალოდ გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ წამოჭრილია ეს საკითხი და საქმაოდ დიდი პანელები იყო შარმან. [2021] წლის დასაწყისში, როცა ელჩებთან ერთად დაიწყეს ამაზე ლაპარაკი, რომ მოდის

არჩევნები და ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ეს უკვე ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია“ (საერთაშორისო ორგანიზაცია, ექსპერტი 7).

ამასთან, ქალ პოლიტიკოსებთან რაოდენობრივი ინტერვიუების დროს ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გააგრძელონ ტრენინგები ქალებისთვის, მაგრამ, ასევე, მოამზადონ ტრენინგები კაცი პოლიტიკოსებისთვის.

„არასამთავრობოებმა უნდა გააგრძელონ ქალების გაძლიერება, მაგრამ შეიძლება [მამაკაცებს] ეს არც მოეწონოთ, იმიტომ რომ ქალებს რაც უფრო მეტ ტრენინგს გვიტარებენ, გვაძლიერებენ, გვეუბნებიან ჩვენს უფლებებს, რა შეგვიძლია გავაკეთოთ, უფრო მეტი ვიცით. აქედან გამომდინარე და ნელ-ნელა ეს ცნობიერება ამაღლდა... ამაღლდა ცნობიერება ქალებისთვის, მაგრამ კაცებსაც უნდა აუმაღლონ ამ კუთხით და მერე ერთობლივი ტრენინგი უნდა ჩაატარონ ქალების და კაცების. ცალ-ცალკე კი არა, ერთობლივი და იქ უპირატესობა დაინახონ იმ ნამყვანმა სპეციალისტებმა“ (ადგილობრივი ხელისუფლების წევრი, რესპონდენტი 6).

ასევე აუცილებელია **დამატებითი ზომების** მიღება პოლიტიკაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის საკითხის მოსაგვარებლად. ექსპერტების თქმით, ძალიან დიდი სამუშაოა გასაწევი გენდერული თანასწორობის და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების დასაჩქარებლად. ეს ადრეული ბავშვობიდან უნდა იწყებოდეს, ბაღებსა და სკოლებში. ბავშვები უნდა იზრდებოდნენ გენდერულად ნეიტრალური და გენდერულად მგრძნობიარე წიგნებით და აღქმით, რომ ბიჭები და გოგოები თანასწორნი არიან. ასევე, უნდა დაინერგოს ცნობიერების ამაღლების კამპანია ტელევიზიების და სოციალური მედიის დახმარებით.

„განათლების რეფორმა, ვიმეორებ ისევ რეფორმა უნდა დაიწყოს მანდუნდა გამოიკვეთოს სამოქალაქო განათლების კომპნენსტი, გენდერული თანასწორობა, ქალთა უფლებები. ანუ ეს თუ არ დაიწყება განათ-

ლების სიტემიდან და საპავშვო ბალებიდან, არაფერი არ გვეშველება. [...] სულ ამას ვამბობთ, რომ გრძელვადიანია და გადის წლები და არაფერი არ კეთდება.. უახლოეს დღის წესრიგში უნდა იდგეს ეს საკითხი იმიტომ, რომ უაღრესად დაგვიანებულია. ასე რომ ეს იქნებოდა ჩემი მთავარი რეკომენდაცია“ (გენდერული თანასწორობის ექსპერტი, ექსპერტი 9).

ზოგი ექსპერტი აცხადებს, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია და ამის მიღწევას, შესაძლოა, წლები დასჭირდეს. რესპონდენტების აზრით, აქ ყველაზე ძლიერი მოთამაშე განათლების სისტემაა. თუმცა, კანონმდებლობისა და ინსტიტუციურ დონეზეც ბევრია გასაკეთებელი. ქვეყნის კანონებს სჭირდება გაუმჯობესება და ინსტიტუციური მექანიზმები უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული ამ პროცესში.

ერთ-ერთი ქალი პოლიტიკოსი აღნიშნავს, რომ ცალკეულ სააგენტოს თუ ორგანოს პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის პრევენციის მიმართულებით ბევრი არაფრის შეცვლა შეუძლია. აუცილებელია ყველამ ერთად, კოორდინირებულად იმოქმედოს.

„ერთი ვიღაცა ვერაფერს ვერ გააკეთებს [ძალადობასთან ბრძოლაში]. მე ვთვლი, რომ მასამ ერთიანად ყველამ, იგივე პოლიტიკურმა პარტიებმა, იგივე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ყველამ უნდა შეიტანოს თითო აგური“ (საარჩევნო კანდიდატი, რესპონდენტი 8).


კვლევის მონაწილეებს აქვთ საკუთარი შეხედულება, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკაში

ჩართული ქალების ნინააღმდეგ ძალადობის პრევენცია. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობის საბჭო და ომბუდსმენი სრულად არიან ჩართულები ძალადობის პრევენციისთვის შესაბამისი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავებაში, ეს პოლიტიკა და მექანიზმები ყოველთვის ეფექტური არ არის. ძალადობის შესახებ ფორმალური ორგანოებისთვის შეტყობინების შემთხვევები დაბალია. შეტყობინების შემთხვევებშიც კი, საქმეები, როგორც წესი, არ გამოძიებულა და დამნაშავები არ დასჯილან.

სახელმწიფო სტრუქტურებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისა და პრევენციის იმ მექანიზმების ამუშავებით, რომლებიც უკვე შემუშავებულია. ექსპერტები, ისევე, როგორც ქალი პოლიტიკოსები, აღნიშნავენ, რომ უნდა არსებობდეს საქმეების გამოძიების და დამნაშავების დასჯის პოლიტიკური ნება. პოლიტიკურ პარტიებს ასევე მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ კოლაბორაციისა და პოლიტიკაში ჩართული ქალების დასაცავად შიდაპარტიული მექანიზმების შემუშავების გზით. მნიშვნელოვნად მიიჩნევა არასამთავრობო ორგანიზაციების როლიც, ვინაიდან მათ უფრო ახლო შეხება აქვთ საზოგადოებასთან.

დაბოლოს, გენდერული თანასწორობა და ქალთა პოლიტიკური გაძლიერების საკითხები ბავშვობიდანვე უნდა იყოს ყურადღების ცენტრში. აუცილებელია განათლების რეფორმა, თუმცა, პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის აღმოფხვრაში წვლილის შეტანა ყველა უწყებისა თუ ორგანოს პასუხისმგებლობაა.

ლასქანები



- ▶ საქართველოში ქალებისთვის პოლიტიკაში მონაწილეობა არაერთ გამოწვევას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ მათ უმეტესობას მხარდაჭერა (ემოციური, ფინანსური, თუ სხვა სახის) აქვს ოჯახის წევრებისგან, თემისა თუ საკუთარი პოლიტიკური პარტიის წევრებისგან და ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციებისგან, მაინც არაერთი წინაღობის გადალახვა უწევთ. ეს შეიძლება, იყოს ფინანსური სირთულეები, არათანაბარი შესაძლებლობები კაცებისა და ქალებისთვის, საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები, რომლებიც ქალს არ მოიაზრებს პოლიტიკაში ისევე, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეობასთან საოჯახო საქმისა და ვალდებულებების შეთავსებას. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო გაამწვავა პანდემიამ. ამ წინააღმდეგობებიდან გამომდინარე, ქალებისთვის გამოწვევათაგის დამკვიდრება არა მხოლოდ საზოგადოებაში, არამედ საკუთარ პოლიტიკურ პარტიაშიც;
- ▶ წინააღმდეგობების მიუხედავად, პოლიტიკაში ჩართული ქალები საკმაოდ აქტიურები არიან. მათი აქტიურობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, როდესაც ისინი მართავენ შეხვედრებს, ხვდებიან ამომრჩევლებს, ავრცელებენ კამპანიის მასალებს, აქტიურობენ სოციალურ ქსელებში და საჯარო განცხადებებს აკეთებენ. ამას გარდა, პოლიტიკაში ჩართული ბევრი ქალი საჯარო გამოსვლისას ხშირად საუბრობს ისეთ საკითხებზე, რომლებიც ყოველთვის მოწოდებით არ სარგებლობს საზოგადოებაში (მაგალითად, გენდერული თანასწორობა, ლგბტ პირთა უფლებები, კონსერვატიული შეხედულებების კრიტიკა). ქალი პოლიტიკოსების აქტიურობამ (განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში) ისევე, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელი განაცხადების გაუღერებამ, შესაძლოა, ძალადობა გამოიწვიოს მათ მიმართ;
- ▶ გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მუქარა, დაშინება, შევიწროება და სიძულვილის ენა პოლიტიკაში ყოფნის ნაწილია და ამას არაფერი ეშველება. გამოკითხულთა თითქმის ერთი მესამე-
- დი მიიჩნევს, რომ ამგვარი დამოკიდებულება განსაკუთრებით ქალი პოლიტიკოსებისადმია მიმართული;
- ▶ გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა თითქმის ნახევარი ამბობს, რომ გამოუცდია შევიწროება ან რამე ფორმით ძალადობა თანამდებობაზე ყოფნისას ან საარჩევნო კამპანიის პერიოდში. ყველაზე ხშირია სიძულვილის ენა სოციალურ მედიაში (28%), მუქარა პირისპირ (19%), სოციალურ მედიაში (17%), ან ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინებისა თუ სატელეფონო ზარის საშუალებით, რომ ზიანს მიაყენებენ ქალ პოლიტიკოსებს ან მათ ახლობლებს (16%); ხშირია, ასევე, შემაწუხებელი კითხვები პირად ცხოვრებასთან ან გარეგნობასთან დაკავშირებით (16%), დამცირება ან შეურაცხყოფა შეხვედრის დროს (15%), უარი თანხაზე, რომელიც ქალ პოლიტიკოსებს ეკუთვნით (მაგ. კუთვნილი შეღავათები, ფასდაკლებები, ხელფასი ან სხვ.) (15%). ძალიან ხშირია სოციალურ მედიაში შეურაცხმყოფელი ან სექსუალური შინაარსის კომენტარებიც. ამავდროულად, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევები იშვიათად გვხვდება;
- ▶ რესპონდენტები საუბრობენ შევიწროებასა და დამცირებაზე საკუთარ პოლიტიკურ პარტიებშიც. დაახლოებით 41%-მა განაცხადა, რომ მმართველ პოზიციაზე ყოფნის ნაკლები შესაძლებლობა აქვს/ჰქონდა კაცებთან შედარებით; 37%-ს უგრძვნია სხვადასხვა კომიტეტში მოხვედრის ნაკლები შანსი, ხოლო 23%-ს საკმარისი დრო არ მიეცა დებატების განმავლობაში საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად;
- ▶ დასაოჯახებელი და განქორწინებული ქალი პოლიტიკოსები უფრო მეტად განიცდიან შევიწროებასა თუ ძალადობას სხვადასხვა ფორმით;
- ▶ კვლევაში მონაწილეების აზრით, მოძალადები, უმეტეს შემთხვევაში, მოწინააღმდეგება პარტიის წარმომადგენლები, ონლაინ „ტროლები“ და „პოტები“ არიან, რომლებსაც, ძირითადად, ასევე, პოლიტიკური პარტიები ან


ის ადამიანები მართავენ, რომლებსაც რესპონდენტები არ იცნობენ ან ვერ ცნობენ. შევიწროება და დისკრიმინაცია ხშირია საკუთარ პოლიტიკურ პარტიაშიც, სადაც მოძალადები რესპონდენტების კოლეგები არიან. როგორც წესი, ისინი კაცები არიან, თუმცა, ხშირად რთულია ამის იდენტიფიცირება, რადგან შეურაცხყოფის შემთხვევები უმეტესად ონლაინ სივრცეში ხდება.

- ▶ გამოკითხულ ქალ პოლიტიკოსთა 60% ეთანხმება მოსაზრებას, რომ კანდიდატები, რომლებიც საჯაროდ საუბრობენ შევიწროებისა და დაშინების საკუთარ გამოცდილებაზე, პოლიტიკაში ჩართულ სხვა ქალებს ეხმარებიან ამ თემაზე საუბრის დაწყებაში. ამასთან, უმრავლესობა (75%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ თითქოსდა, ასეთი ქალები სუსტები არიან;
- ▶ შევიწროებასა და მუქარაზე ქალ პოლიტიკოსებს განსხვავებული რეაქციები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მათი ნაწილი თავს განადგურებულად გრძნობს და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესების შესახებ საუბრობს, ბევრი აღნიშნავს, რომ ასეთმა შემთხვევებმა გააძლიერა ისინი და ახლა მეტი შემართებით იბრძვიან გენდერული დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
- ▶ შევიწროებისა და მუქარის შემთხვევაში, ქალი პოლიტიკოსები დახმარებისთვის ხშირად ოჯახის წევრებს, ახლო მეგობრებს, კოლეგებს, პარტიის ხელმძღვანელებს, ხანდახან კი არასამთავრობო და ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს მიმართავენ, იშვიათ შემთხვევებში - ოფიციალურ ორგანოებსაც, თუმცა, როგორც რესპონდენტთა ნახევარზე მეტი ამბობს, მათთვის არასოდეს მიუმართავთ;
- ▶ რამდენიმე მიზეზი არსებობს, თუ რატომ არ ატყობინებენ ქალი პოლიტიკოსები დალადობისა და დისკრიმინაციის შესახებ ოფიციალურ ორგანოებს. ბევრი მიიჩნევს, რომ მისი შემთხვევა პოლიტიკური შეტევა იყოდა, შესაბამისად, პოლიტიკურ რეაგირებას მოითხოვდა და არა სამართლებრივს; ზოგი ამბობს,

რომ თავად შეძლო პრობლემის მოგვარება; რესპონდენტთა ნაწილი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს შემთხვევას და ამჯობინებს, პრობლემას თავად გაუმკლავდეს, რათა საქმე არ გაართულოს. ზოგიერთ რესპონდენტს კი იმედი არ აქვს, რომ საქმეს ნორმალურად გამოიძიებენ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ქალები შიშობენ, რომ სერიოზულად არავინ აღიქვამს მათ, თუ სიტყვიერი აგრესისა და მუქარის შესახებ განაცხადებენ;

- ▶ ონლაინ შევიწროების შემთხვევაში მომხმარებლის დაბლოკვა და იგნორირება ყველაზე ხშირი გამოსავალია. ძალადობისგან თავის დასაცავად ქალებს ხშირად უწევთ ყოველდღიური რუტინის შეცვლა და ონლაინ სივრცეში პირადი ინფორმაციისა და განრიგის დამალვა;
- ▶ კვლევის მონაწილეთა დიდ ნაწილს მიაჩინა, რომ პოლიტიკაში ჩართული ქალების წინააღმდეგ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისა თუ პრევენციის ეფექტური მექანიზმები არ არსებობს და კანონმდებლობა სათანადოდ ვერ ფარავს ამგვარი ძალადობის საკითხებს. თუმცა, რესპონდენტთა ნაწილისთვის ეს კანონმდებლობა, სერვისები და მექანიზმები გამართულია. გარდა ამისა, რესპონდენტთა ნაწილი პრობლემას კანონმდებლობის განხორციელებაში ხედავს. მათი შეფასებით, მართალია, კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება, მაგრამ პრაქტიკაში მისი განხორციელება გამოწვევად რჩება;
- ▶ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის პრევენცია, კვლევის მონაწილეთა ნაწილი აცხადებს, რომ მიუხედავად გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ობჟადესმენის მონაწილეობისა ძალადობის პრევენციისთვის შესაბამისი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავებაში, ეს მუშაობა ყოველთვის ეფექტური არ არის. დაბალია ძალადობის შემთხვევების ოფიციალური ორგანოებისთვის შეტყობინების მაჩვენებელიც და შეტყობინების შემთხვევაშიც კი საქმე, უმეტესად, არ გამოძიებულა და არც დამნაშავეები დასჯილან.

ლანებთები



## დანართი 1: მეთოდოლოგის აღწერა

კვლევა იყენებს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კვლევის მეთოდებს და მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს: (1) ექსპერტული ინტერვიუები ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებზე მომუშავე პირებთან (კვლევის მასშტაბების განსაზღვრის მიზნით); (2) ონლაინ გამოკითხვა პოლიტიკაში ჩართული ქალების მიმართ ძალადობის საკითხებზე (კვლევის რაოდენობრივი კომპონენტი); (3) სიღრმისეული ინტერვიუები პოლიტიკაში ჩართულ ქალებთან (კვლევის თვისებრივი კომპონენტი). ექსპერტებთან ინტერვიუები ჩატარდა 2020 წლის ოქტომბერში. ინტერვიუების მიზანი ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობისა და საქართველოში ქალი პოლიტიკოსების მიმართ ძალადობის ბუნების შესახებ ინფორმაციის მოგროვება იყო. ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგები გამოყენებულია კვლევის დიზაინისა და კონტექსტის მიმოხილვის ჩამოსაყალიბებლად, სიღრმისეული ინტერვიუები და ონლაინ გამოკითხვა კი მიზნად ისახავდა ემპირიული მონაცემების შეგროვებას ქალი პოლიტიკოსების ძალადობის გამოცდილებაზე საქართველოში.

ონლაინ გამოკითხვის დროს CRRC-საქართველოს სამიზნე ჯგუფები იყო:

- ▶ 2016-2020 წლების მოწვევის პარლამენტში არჩეული ქალები (21 ქალი),
- ▶ 2017-2021 წლების მოწვევის მუნიციპალურ საკრებულოებში არჩეული ქალები (277 ქალი),
- ▶ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების კანდიდატი ქალები.

ბოლო ჯგუფში გაერთიანებული კანდიდატები, რომლებიც თანამდებობისთვის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში იბრძოდნენ (105 ქალი) და შერჩეული პარტიული სიების პირველ რვა ქალი კანდიდატი. შეირჩა მხოლოდ იმ პარტიების წარმომადგენლები, რომელმა პარტიებმაც პარლამენტში მოსახვედრად დაგენილი პროცენტიანი ზღვარი გადალახეს (80 ქალი). გამოკითხვაში მონაწილეობა 151-მა ქალმა პოლიტიკოსმა, თანამდებობის პირმა, თუ კანდიდატმა მიიღო. თანამდებობის პირთა შორის 104 რესპონდენტი ადგილობრივი მთავრობის წევრი იყო, 9 - პარლამენტის წევრი. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატებიდან გამოკითხვაში 50-მა მიიღო მონაწილეობა. აქედან, 12 ასევე ადგილობრივი მთავრობის ან პარლამენტის წევრია, 38 კი მხოლოდ თანამდებობის-თვის იბრძოდა 2020 წლის არჩევნებში.

გამოპასუხება ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელთა ქვეშერჩევიდან 38% იყო. 2016-2020 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი ქალებიდან 43%-მა გასცა კითხვებს პასუხი. რაც შეეხება ქალ კანდიდატებს, გამოპასუხება 27% იყო. გამომდინარე 2016-2020 წლების მოწვევის პარლამენტის ქალთა ნაკლები მონაწილეობიდან, CRRC-საქართველომ ანალიზის დროს ეს ჯგუფი ცალკე არ გამოყო.

რაც შეეხება კვლევის მესამე კომპონენტს - სიღრმისეულ ინტერვიუებს ქალ პოლიტიკოსებთან, რესპონდენტები შემდეგნაირად შეირჩენენ. 12 ინტერვიუ ჩატარდა ქალ პოლიტიკოსებთან, რომლებიც, ამავდროულად, ონლაინ გამოკითხვაშიც მონაწილეობდნენ, ჰქონდათ ძალადობის გამოცდილება და ამასთან, თანხმობა განაცხადეს თვისებრივ კვლევაში მონაწილეობაზე. თვისებრივი კვლევის სამი მონაწილე სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშნული ისეთი პირი იყო, რომელსაც გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა, ძალადობის გამოცდილება ჰქონდა და თანხმობა განაცხადა CRRC-საქართველოს მკვლევრებისთვის გაეზიარებინა ეს გამოცდილება.

კვლევის სენსიტიურობიდან გამომდინარე, გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების ანონიმურობა და თვისებრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების კონფიდენციალურობა სრულად დაცულია. ინტერვიუს დროს მონაწილეები დაცულები იყვნენ ზიანის მიერნებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის კვლევითი ინტერვენციები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ეთიკურობისა და უსაფრთხოების რეკომენდაციების სრული დაცვით ჩატარდა.

## დანართი 2: კვლევის მონაცილეთა მახასიათებლები


კვლევაში მონაწილე ქალთა უმრავლესობა (60%) 35-დან 45 წლამდე ასაკისაა. რესპონდენტების 15% პროცენტი 18-დან 34 წლამდე ასაკისაა, 21% კი - 55 წლის და უფროსი ასაკის. უმრავლესობა (96%) თავს ეთნიკურად ქართველად მიიჩნევს და მიღებული აქვს უმაღლესი განათლება (95%, 143 რესპონდენტი). რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა 60% დაოჯახებულია, 15% განქორწინებული, 13% და-საოჯახებელი, 11% კი - ქვრივი.

რესპონდენტთა 30%-მა პოლიტიკური კარიერა 2017 წლის შემდგომ დაიწყო. 40%-მა კარიერა 2012-2016 წლების შუალედში დაიწყო, 15%-მა კი - 2003-2011 წლების შუალედში. 13% პოლიტიკაში კიდევ უფრო ადრე ჩაერთო, 1987-2002 წლების შუალედში.

უახლოეს საარჩევნო კამპანიებში, რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (55%) მმართველი პარტიის წარმომადგენელი კანდიდატი იყო, 38% წარმოადგენდა ოპოზიციურ პარტიებს, 4% კი დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. მათგან, ვინც 2020 წლის არჩევნებში იღებდა მონაწილეობას, მხოლოდ 14% (7 რესპონდენტი) გახდა პარლამენტის წევრი. აქედან, 4 რესპონდენტი მმართველ, 3 კი ოპოზიციურ პარტიებს წარმოადგენს.

თვისებრივ ინტერვიუებში მონაწილე თხუთმეტივე კანდიდატი ეთნიკურად ქართველია. მათგან, 5 რესპონდენტი წარმოადგენს ადგილობრივ მთავრობებსა და საკრებულოებს, 5 რესპონდენტი მაურიტარული სისტემითა თუ პარტიული სიებით იყრიდა კენჭს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში. 5 ინტერვიუ კი 2016-2020 წლის მოწვევის პარლამენტის წევრებთან ან თანამდებობაზე დანიშნულ პირებთან ჩატარდა.

გენუზვები



<sup>1</sup> რესპონდენტების ნაწილს ჰქონდა როგორც თვითმმართველობაში მუშაობის, ასევე პარლამენტის ყოფნის ან ბოლო არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილებაც, შესაბამისად, სიხშირეთა ჯამი აღემატება 151-ს

<sup>2</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ დუბრავა შემონვიჩი, ანგარიში პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ (გაერო, 2018), პარაგრაფი 82, ხელმისაწვდომია: <https://digilibRARY.un.org/record/1640483>

<sup>3</sup> იქვე, პარაგრაფი 85

<sup>4</sup> იქვე, პარაგრაფი 83.k

<sup>5</sup> იქვე, პარაგრაფი 83.e

<sup>6</sup> იქვე, პარაგრაფი 89

<sup>7</sup> ჯული ბალინგტონი, გაბრიელ ბარდალი და გაბრიელა ბოროვსკი, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია არჩევნებზე: პროგრამირების სახელმძღვანელო, 2017, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2017/11/preventing-violence-against-women-in-elections> (ბოლოს ნანახია 7.04.2022)

<sup>8</sup> ლორი მანი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2018 წელი, თბილისი: აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, გაეროს განვითარების პროგრამა

<sup>9</sup> გრემ რამშო და შენონ რ'კონელი, ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში: გლობალური საკითხის გლობალური პერსპექტივები, 2018, ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის

<sup>10</sup> დუბრავა სიმონვიჩი, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში პოლიტიკაში მყოფ ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, გაერო, 2018. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://digilibRARY.un.org/record/1641160?ln=en> (ბოლოს ნანახია 4.04.2022)

<sup>11</sup> ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (საერთაშორისო ურთიერთობებისთვის), "ძალადობას არა აქვს მხარე: პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის ანალიზი, 19 მარტი, 2018. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.ndi.org/publications/no-party-violence-analyzing-violence-against-women-political-parties> (ბოლოს ნანახია 7.04.2022)

<sup>12</sup> საარჩევნო სისტემების ეროვნული ფონდი, ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნების დროს ონლაინ: სოციალური მედიის ანალიზის ინსტრუმენტი, vol. 1, 2019, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.ifes.org/publications/violence-against-women-elections-online-social-media-analysis-tool> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>13</sup> I Know Politics, ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში, 2019, დისკუსიის მოკლე მიმოხილვა, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.iknowpolitics.org/en/learn/knowledge-resources/summary-e-discussion-online-violence-against-women-politics> (ბოლოს ნანახია 4.04.2022)

<sup>14</sup> ჯული ბალინგტონი, გაბრიელ ბარდალი და გაბრიელა ბოროვსკი, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია არჩევნებზე: პროგრამირების სახელმძღვანელო, 2017, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://www.unwomen.org/sites/default/files/Headquarters/Attachments/Sections/Library/Publications/2017/Preventing-VAW-in-elections-en.PDF> (ბოლოს ნანახია 4.04.2022)

<sup>15</sup> საქართველოს კონსტიტუცია, დოკუმენტის ნომერი- 786, 1995, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346.?publication=36>

<sup>16</sup> საქართველოს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ", დოკუმენტის ნომერი- 2844, 2010, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

<sup>17</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, დოკუმენტის ნომერი- 2391- IIს, 2014, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687>

<sup>18</sup> საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ დოკუმენტის ნომერი- 3143, 2006, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422.?publication=21>

<sup>19</sup> საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014–2020 წლებისთვის), ხელმისაწვდომია: <http://myrights.gov.ge/ka/documents/documents/strategy> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>20</sup> გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, საქართველოს პარლამენტი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/parliament/councils/51090/about>

<sup>21</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMAN), სპეციალური ანგარიში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება, 2020. ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>22</sup> საქართველოს საარჩევნო კოდექსი, პუბლიკაციის ნომერი- 5636- რს, 2011, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168.?publication=73>

<sup>23</sup> OC Media, შოთა ხინჩას ბლოგი, საქართველოს პოლიტიკური პარტიები ქალ კანდიდატთა რაოდენობის მიხედვით, 14 ოქტომბერი, 2020. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: <https://oc-media.org/georgias-political-parties-ranked-by-number-of-women-candidates/> (ბოლოს ნანახია 7.04.2022)

<sup>24</sup> ლორი მანი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2018 წელი, თბილისი: აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, გაეროს განვითარების პროგრამა

<sup>25</sup> საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნების შეჯამება, 2021, ხელმისაწვდომია: <https://cesko.ge/ge/archevnebi/2021/munitsipalitetis-organota-2021-tslis-archevnebi/archevnebis-shedjameba/singleview/9126997-saolqo-saarchevno-komisiebis-tsnoba-she-sabamis-olqshi-sakrebulos-archevnebis-shedegebis-shesakheb>

<sup>26</sup> საქართველოს მთავრობის ვებგვერდი - საქართველოს მთავრობის წევრები, 2020, ხელმისაწვდომია: [https://www.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=27](https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=27)

<sup>27</sup> მედიაჩეკერი, ნიკა მელიას სექსისტური მიმართვა გადაცემაში „ამომრჩევლის პირისპირ“, 11 იანვარი 2017, ხელმისაწვდომია: <https://www.mediachecker.ge/ka/etika/article/49261-nika-melias-seqsisturi-mimarthva-gadacemashi-amomrchevlis-pirispis> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>28</sup> ონ.გე, შეიძლება, კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ ინფრასტრუქტურა არ იცის — ხაზარაძის სექსიზმი, 3 ოქტომბერი 2019, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/khazaradzeonge> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>29</sup> ექსპრესნიუსი, ომბუდსმენი: „თავისუფალი საქართველოს“ წევრის სექსისტური განცხადე-ბით შეშფოთებული ვარ, 16 მარტი 2015, ხელმისაწვდომია: <https://expressnews.ge/index.php?id=3275> (ბოლოს ნანახია 5.04.2022); ნეტგაზეთი, მიმა მეფიარიშვილის ბლოგი, ომბუდსმენი: ბათუმის საკრებულოს წევრი სექსისტურ სტერეოტიპებს ავრცელებს, 15 თებერვალი 2018, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/252892/> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>30</sup> სამართლიანი არჩევნები, სოციალური მედიის მონიტორინგი (2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შუალედური ანგარიში), თბილისი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://isfed.ge/geo/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoringis-l-shualeduri-angarishi-2020-tslis-saparlamento-archevnebi> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>31</sup> CRRC-Georgia, NDI, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ფეისბუკ სივრცეში, 2021, ხელმისაწვდომია: <https://crrc.ge/ka/project/kyleva-saarchevno-procesisa-da-politikuri-shexedulebebis-sheaxeb-saqartveloshi/107>

<sup>32</sup> ნეტგაზეთი, ჯაბა ანანიძის ბლოგი, რა მიუსაჯეს პირს, რომელიც ზურაბიშვილის შვილებს ემუქრებოდა, , 4 თებერვალი 2020, ხელმისაწვდომია: <https://batumelebi.netgazeti.ge/news/251619/> (ბოლოს ნანახია 5.04.2022); საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, რა გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოებრივად აქტიური ქალი საქართველოში, 5 ნოემბერი, 2019, ხელმისაწვდომია: <https://transparency.ge/ge/blog/ra-gamocveebis-cinashe-dgas-sazogadoebrevad-aktiuri-kali-sakartveloshi> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>33</sup> კოალიცია "ეს შენ გეხება", ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და ფარული ჩანაწერებით შანტაჟის პრაქტიკა აღკვეთოს, 29 იანვარი, 2019, ხელმისაწვდომია: [https://idfi.ge/ge/this\\_effects\\_you\\_campaign\\_statement](https://idfi.ge/ge/this_effects_you_campaign_statement) (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>34</sup> ნეტგაზეთი, პირადი ცნოვრების ამსახველი ვიდეოს გავრცელება, , 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Lz6Yt> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>35</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა- საქართველო, რა გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოებრივად აქტიური ქალი საქართველოში, 2019, <https://transparency.ge/ge/blog/ra-gamocveebis-cinashe-dgas-sazogadoebrevad-aktiuri-kali-sakartveloshi> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>36</sup> სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის IV შუალედური ანგარიში, 29 სექტემბერი, 2020, <http://isfed.ge/geo/2020-saparlamento/2020-tslis-saparlamento-to-archevedebis-monitoringis-IV-shualeduri-angarishi> (ბოლოს ნანახია 5.04.2022)

<sup>37</sup> შერჩევა არ არის წარმომადგენლობითი

<sup>38</sup> ეს მოიცავდა მხოლოდ 2020 წლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატ ქალებს- 50 რესპონდენტს

<sup>39</sup> საპარლამენტო არჩევნების მონაწილე კანდიდატ რესპონდენტებს ჰქითხეს კამპანიის პერიოდის შესახებ, პარლამენტის წევრ (2016-2020) და ადგილობრივი ხელისუფლების (2017-2021) წარმომადგენელ ქალებს კი ჰქითხეს პოზიციაზე ყოფნის პერიოდის შესახებ

<sup>40</sup> ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქითხეს პოზიციაზე ყოფნის პერიოდის შესახებ, ხოლო კანდიდატებს 2020 წლის კამპანიის პერიოდის შესახებ

<sup>41</sup> ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქითხეს პოზიციაზე ყოფნის პერიოდის შესახებ, ხოლო კანდიდატებს 2020 წლის კამპანიის პერიოდის შესახებ

<sup>42</sup> ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქითხეს პოზიციაზე ყოფნის პერიოდის შესახებ, ხოლო კანდიდატებს 2020 წლის კამპანიის პერიოდის შესახებ

<sup>43</sup> ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქითხეს პოზიციაზე ყოფნის პერიოდის შესახებ, ხოლო კანდიდატებს 2020 წლის კამპანიის პერიოდის შესახებ

<sup>44</sup> ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქითხეს პოზიციაზე ყოფნის

პერიოდის შესახებ, ხოლო კანდიდატებს 2020 წლის კამპანიის პერიოდის შესახებ

<sup>45</sup> შედეგები დათვლილია ლოგისტიკური რეგრესიული მოდელის მეშვეობით, რომელიც შევიწროების და ძალადობის გამოცდილების ახსნას შემდეგი ცვლადებით ცდილობს: ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, ადგილობრივი ხელისუფლების ან პარლამენტის წევრობა, 2020 წლის ოჯახური მდგომარეობა, ადგილობრივი ხელისუფლების ან პარლამენტის წევრობა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში კენჭის ყრა და სხვა ცვლადები

<sup>46</sup> კითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იყვნენ ძალადობის, შევიწროების ან მუქარის მსხვერპლი

<sup>47</sup> კითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იყვნენ ძალადობის, შევიწროების ან მუქარის მსხვერპლი

<sup>48</sup> კითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იყვნენ ძალადობის, შევიწროების ან მუქარის მსხვერპლი


<sup>49</sup> ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქითხეს პოზიციაზე ყოფნის პერიოდის შესახებ, ხოლო კანდიდატებს 2020 წლის კამპანიის პერიოდის შესახებ

<sup>50</sup> კითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იყვნენ ძალადობის, შევიწროების ან მუქარის მსხვერპლი

<sup>51</sup> კითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იყვნენ ძალადობის, შევიწროების ან მუქარის მსხვერპლი

<sup>52</sup> კითხვა დაესვა მხოლოდ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც აღნიშნეს, რომ იყვნენ ძალადობის, შევიწროების ან მუქარის მსხვერპლი და ამის შესახებ ოფიციალურ ორგანოს არ მიმართეს

ბიბლიოგრაფია



ჯული ბალინგტონი, გაბრიელ ბარდალი და გაბრიელა ბოროვსკი, ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია  
არჩევნებზე: პროგრამირების სახელმძღვანელო, 2017. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:  
<https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2017/11/preventing-violence-against-women-in-elections>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, არჩევნების შეჯამება, 2021, ხელმისაწვდომია:  
<https://cesko.ge/ge/archevnebi/2021/municipalitetis-organota-2021-tslis-archevnebi/archevnebis-shedjameba/sin-gleview/9126997-saolqo-saarchevelno-komisiebis-tsoba-shesabamis-olqshi-sakrebulos-archevnebis-shedegebis-shesakheb>

საქართველოს კონსტიტუცია, გამოცემა. L. №786- წს (1995). ხელმისაწვდომია:  
<https://matsne.gov.ge/en/document/view/30346>

კავკასიის რესურსების კვლევის ცენტრი, პოლიტიკაში ქალთა მიმართ ძალადობა ფეისბუკ სივრცეში,  
თბილისი, CRRC-Georgia, 2021. ხელმისაწვდომია:  
[https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/NDI\\_FACEBOOK\\_REPORT\\_23March2021\\_ENG.pdf](https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/Completed-projects/NDI_FACEBOOK_REPORT_23March2021_ENG.pdf)

საქართველოს მთავრობის ოფიციალური ვებგვერდი, ნაწილი - მთავრობის წევრები, 2020. ხელმისაწვდომია:  
[http://gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=124](http://gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=124)

I Know Politics. ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში, 2019.

საარჩევნო სისტემების ეროვნული ფონდი, ქალთა მიმართ ძალადობა არჩევნებში ონლაინ: სოციალური  
მედიის ანალიზის ინსტრუმენტი, vol. 1, 2019, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:  
<https://www.ifes.org/publications/violence-against-women-elections-online-social-media-analysis-tool>.

ლორი მანი, გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები, 2018 წელი,  
თბილისი: აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

მედიაჩეკერი, ნიკა მელიას სექსისტური მიმართვა გადაცემაში „ამომრჩევლის პირისპირ“, 11 იანვარი, 2017.  
<https://www.mediachecker.ge/ka/siakhlebi/article/49261-nika-melias-seqsisturi-mimarthva-gadacemashi-amomrchevis-pirispir>

ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი (საერთაშორისო ურთიერთობებისთვის), "ძალადობას არა აქვს  
მხარე: პოლიტიკურ პარტიებში ქალთა მიმართ ძალადობის ანალიზი, 19 მარტი, 2018.  
ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:  
<https://www.ndi.org/publications/no-party-violence-analyzing-violence-against-women-political-parties>

ნეტგაზეთი, პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოს გავრცელება, 2020. ხელმისაწვდომია:  
<https://bit.ly/3LJz6Yt>

საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის  
მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ დოკუმენტის ნომერი- 3143, 2006, ხელმისაწვდომია:  
<https://matsne.gov.ge/en/document/view/26422>

ონ.გე, შეიძლება, კარგად აცხობს ხაჭაპურს, მაგრამ ინფრასტრუქტურა არ იცის — ხაზარაძის სექსიზმი,  
3 ოქტომბერი, 2019. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/khazaradzeonge>

საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ, 2020.  
ხელმისაწვდომია: <http://www.parliament.ge/en/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-9/genderuli-tanasworobis-sabcho/sabchos-shesaxeb>

გრემ რამშო და შენონ ო'კონელი, ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში: გლობალური საკითხის გლობალური პერსპექტივები, 2018, ვესტმინსტერის ფონდი დემოკრატიისთვის.

დუბრავა სიმონვიჩი, სპეციალური მომსენებლის ანგარიში პოლიტიკაში მყოფ ქალთა მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, გაერო, 2018. ხელმისაწვდომია:

<https://digitallibrary.un.org/record/1641160?ln=en>

ნეტგაზეთი, ჯაბა ანანიძის ბლოგი, რა მიუსაჯეს პირს, რომელიც ზურაბიშვილის შვილებს ემუქრებოდა, 4 თებერვალი, 2020. ხელმისაწვდომია:

<https://batumelebi.netgazeti.ge/news/251619/>

საქართველოს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ", დოკუმენტის No. 2844 (2010). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>

საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", დოკუმენტის No. 2391- III (2014). ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687>

ექსპრესნიუსი, ობიუდსმენი: „თავისუფალი საქართველოს“ წევრის სექსისტური განცხადებით შეშფოთებული ვარ, 16 მარტი, 2015. ხელმისაწვდომია:

<https://expressnews.ge/index.php?id=3275>

კოალიცია „ეს შენ გეხება“, ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს პოლიტიკური ნება და ფარული ჩანაწერებით შანტაჟის პრაქტიკა აღკვეთოს, 29 იანვარი, 2019. ხელმისაწვდომია:

[https://idfi.ge/ge/this\\_effects\\_you\\_campaign\\_statement](https://idfi.ge/ge/this_effects_you_campaign_statement)

ნეტგაზეთი, მიშა მეფარიშვილის ბლოგი, ობიუდსმენი: ბათუმის საკრებულოს წევრი სექსისტურ სტერეოტიპებს ავრცელებს, 15 თებერვალი, 2018. ხელმისაწვდომია:

<https://netgazeti.ge/news/252892/>

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, რა გამოწვევების წინაშე დგას საზოგადოებრივად აქტიური ქალი საქართველოში, 5 ნოემბერი, 2019. ხელმისაწვდომია:

<https://transparency.ge/ge/blog/ra-gamocvevebis-cinashe-dgas-sazogadoebriavd-aktiuri-kali-sakartveloshi>

სამართლიანი არჩევნები (ISFED), 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის IV შუალედური ანგარიში. 29 სექტემბერი, 2020. ხელმისაწვდომია:

<http://isfed.ge/geo/2020-saparlamento/2020-tslis-saparlamento-archevnebis-monitoringis-IV-shualeduri-angularishi>

სამართლიანი არჩევნები (ISFED), სოციალური მედიის მონიტორინგი (2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შუალედური ანგარიში). თბილისი, 2020. ხელმისაწვდომია:

<https://isfed.ge/geo/angarishebi/sotsialuri-mediis-monitoringis-l-shualeduri-angularishi-2020-tslis-saparlamento-archevnebi>

საქართველოს სახალხო დამცველი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება, 2020. ხელმისაწვდომია:

<https://ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf>



UN Women Georgia Country Office,  
87 Paliashvili Street, Office Suite 4,  
Tbilisi 0179, Georgia  
Tel: (995 32) 222 06 04  
(995 32) 222 08 70

[www.unwomen.org](http://www.unwomen.org)  
[georgia.unwomen.org](http://georgia.unwomen.org)